პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი 22 მარტი 1978 წ. № 68 (17112) ფასი 2 კაპ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

20 მარტს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, გენერალური და მთავარი კონსტრუქტორები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, მანქანათმშენებლობის, საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების დირექტორები, აგრეთვე ქიმიური, ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტის, საზღვაო, თევზსარეწი და სამდინარო ფლოტების ხელმძღვანელები. განიხილეს მოტორმშენებლობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შემდგომი დაჩქარების ამოცანების განხორციელებისა და სამოტორო ტექნიკის ექსპლოატაციის სრულყოფის პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში ჩამოყალიბებული დებულებებიდან და დასკვნებიდან.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. პ. კირილენკომ.

საკონსტრუქტორო ბიუროების, სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების, გაერთიანებებისა და საწარმოების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა ყურადღება თათბირზე მიაპყრეს იმას, რომ საჭიროა მნიშვნელოვნად დაჩქარდეს ახალ პროგრესულ სახეობათა შიდაწვის ძრავების შექმნის, ძრავების რესურსების გადიდების, მათი ლითონტევადობის შემცირებისა და, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიურობის გადიდების სამუშაოები. დაისახა აგრეთვე ამოცანა გაიშალოს ფართო მოძრაობა ხათბობისა და ზეთების ხარჯვისადმი მომჭირნე და ყაირათიანი დამოკიდებულებისათვის ხახალხო მეურნეობის ყველა დარგში, სადაც შიდაწვის ძრავებს იყენებენ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ვ. ი. დოლგიხი, ი. პ. რიაბოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ა. კირილინი, ნ. ვ. მარტინოვი, ვ. ნ. ნოვიკოვი, პარტიის მთელი რიგი სამხარეო და საოლქო კომიტეტების მდივნები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები და პასუხისმგებელი მუშაკები. (საკდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

მკაცრი წესრიგი დავამყაროთ სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის დაზღვევაში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის სახელმწიფო დაზღვევის საქმეში სერიოზულ დარღვევათა შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია: იმის გამო, რომ სახელმწიფო დაზღვევის რაიონული ინსპექციები, ვეტერინარიული სამსახურები, სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოები უხეშად არღვევდნენ სადაზღვევო კანონმდებლობას, სახელმწიფოს მოსდის დიდი ზარალი რესპუბლიკის მოსახლეობის პირად საკუთრებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის საგალდებულო და ნებაყოფლობითი დაზღვევის არასწორი წარმართვის შედეგად.

მაგალითად, 1971-1975 წლებში საგალდებულო დაზღვევისაგან შემოსულობამ 34,5 მილიონი მანეთი შეადგინა, პირუტყვის დაღუპვის აქტების მიხედვით კი გადახდილია 45,7 მილიონი მანეთი, იქიდან იგი 11,2 მილიონი მანეთით მეტი, და ზარალმა საშუალოდ წელიწადში შეადგინა 2,2 მილიონი მანეთი. ზარალმა განსაკუთრებით დიდ ოდენობას მიაღწია 1976 წელს, როცა აქტების მიხედვით გადასახდელებმა შემოსულობათა დაახლოებით 174 პროცენტი შეადგინა.

პირუტყვის დაზღვევის დიდი ზარალიანობის მიზეზები უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ სწორად არ აღრიცხავენ მოსახლეობის პირუტყვის სულადობას სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოები, ადგილობრივი სტატისტიკური ორგანოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. ამასთან სასოფლო საბჭოების აღმასკომები და ვეტერინარი სპეციალისტები ჯეროვნად არ სწყვლობენ პირუტყვის დაავადებებისა და დალუპვის მიზეზებს, მთელი რიგ შემთხვევებში მიმართავენ სხვადასხვაგვარ სოფალდენ. ასეთი ფაქტები გამოვლინდა ჩოხატაურის, ხობისა და ონის რაიონების სასოფლო საბჭოებში. გალის, ლენტეხისა და ხულოს რაიონებში ზრდიდნენ გამწყდარი პირუტყვის რიცხვს, რის გამოც უკანონოდ არის გადახდილი სადაზღვევო თანხები.

ანალოგიური დარღვევები იყო დუშეთის, წალენჯიხის, შუახევის და სხვა რაიონებში.

სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის დაზღვევის მოუწესრიგებლობის არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი ის არის, რომ პირუტყვის დაავადებების წინააღმდეგ მებრძოლი რაიონული სადგურები დაბალ დონეზე უწევენ ვეტერინარიულ მომსახურებას მოსახლეობის პირუტყვს, მათი სპეციალისტები შეუწყნარებელ უპასუხისმგებლობას იჩენენ ინფექციური დაავადებების კერების ლიკვიდაციაში, ზოგჯერ კი უშვებენ უკანონობას პირუტყვის დალუპვის აქტების გაფორმების დროს.

საგულისხმოა, რომ რესპუბლიკის სახოგადოებრივ მეურნეობებში, 1970 წლიდან მოყოლებული, ყველა სახეობის პირუტყვის გაწყდომას შემცირების ტენდენცია ჰქონდა, ხოლო მოსახლეობაში იმავე პერიოდის მანძილზე იგი 2,5-ჯერ გაიზარდა.

სხვა სერიოზულ დარღვევებთან ერთად გამოვლენილია ფაქტები, როცა ვეტერინარიული სამსახურის მუშაკები ფულს გამოძალავდნენ ხოლმე დამზღვევებს პირუტყვის გაწყდომის აქტების გაფორმებისათვის.

დარღვევები შეიმჩნევა სახელმწიფო დაზღვევის რაიონულ ინსპექციებში პირუტყვის დაღუპვისათვის გადასახდელების დოკუმენტების გაფორმების დამამთავრებელ ეტაპზეც.

ბოროტმოქმედებისათვის პირობებს ქმნის ერთი მხრივ, ბიუროკრატიზმის ატმოსფერო, უდავო აქტების მიხედვით ფულის გადახდის ყოველად გაუმართლებელი გაჭიანურება, მეორე მხრივ, საეჭვო ლიბერალური დამოკიდებულება ბევრი არასრულფასოვანი აქტის მიხედვით ფულის გადახდისადმი.

მოსახლეობის პირუტყვის დაზღვევაში უწესრიგობის შედეგად იკარგება ხორცის მნიშვნელოვანი რესურსები. მაგალითად, 1976-1977 წლებში სადაზღვეო დოკუმენტაციის შესაბამისად მოსახლეობას გაუწყდა 116,8 ათასი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, ხოლო სახელმწიფოს მიჰყიდეს დაახლოებით 208 ათასი სული, უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, საფინანსო, საკონტროლო და ადმინისტრაციული ორგანოები იმასაც კი არ ცდილობენ, რომ აღიკვეთონ დარღვევები და სათანადო სახელმწიფო წესრიგი დაამყარონ ამ საქმეში, ხოლო რესპუბლიკური სამინისტროები და უწყებები სუსტ კონტროლს უწევენ მათ მუშაობას ამ დარგში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მისი მთავარი ვეტერინარიული სამმართველო პრაქტიკულად კონტროლს არ უწევდნენ რაიონული ვეტერინარიული სამსახურების მუშაობას. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველოს მიერ უკანასკნელი წლების მანძილზე მიღებულ ღონისძიებებს მოსახლეობის პირუტყვის დაზღვევის მოწესრიგების საქმეში, ნაკლები ეფექტი ჰქონდათ და პრაქტიკულად არ შეუცვლიათ საქმის ვითარება ადგილებზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს დაავალა ჯერეოვან დონეზე იქონიონ კონტროლი მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის სახელმწიფო დაზღვევისადმი, მტკიცედ მიაღწიონ ამ სახეობის დაზღვევის ეფექტიანობის ამაღლებას, გააძლიერონ ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეოცე პლენუმის მოთხოვნების შესაბამისად, მკვეთრად აამაღლონ საფინანსო და სადაზღვეო ორგანოების, სასოფლო და სადაბო საბჭოების, რაიონული ვეტერინარიული სამსახურების პასუხისმგებლობა დაზღვევის სფეროში სახელმწიფო კანონიერების უმკაცრესად დაცვისათვის.

არასაკმარისად არის მიჩნეული საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, მისი სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველოს მუშაობა მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის დაზღვევის ოპერაციებისადმი კონტროლის განხორციელებისათვის. მათ დაეგალათ შეიმუშაონ და განახორციელონ მოქმედების კონკრეტული პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო კანონიერების მტკიცე დაცვას ამ სახეობის დაზღვევაში, აგრეთვე განიხილონ იმათი პასუხისმგებლობის საკითხი, ვისაც ბრალი მიუძღვის მოსახლეობის პირუტყვის დაზღვევის საქმეში დარღვევათა დაშვებაში.

აგრეთვე აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კონტროლი არ დაუწესა სადაზღვევო ოპერაციებში რაიონული ვეტერინარიული სამსახურების მონაწილეობის საკითხს, რაც ასევე უნდა გახდეს კოლეგიის მსჯელობის საგანი.

საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მიეცა დავალება შიმოშაოს შემოწმებების წესი, აწარმოოს კონტროლი მოსახლეობის სადაზღვევო ახალის პირუტყვის რაოდენობის საღირებელი მონაცემების სისწორისადმი.

რესპუბლიკის პრაკურატურამ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა შეისწავლონ დადგენილებაში აღნიშნული საკითხები და დამნაშავე პირთა მიმართ განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებანი, შემდგომში გაძლიერონ საპროკურორო ზედამხედველობა და კონტროლი მოსახლეობის პირუტყვის დაზღვევის დადგენილი წესების დაცვისადმი, გამაძლიერონ დარღვევების პროფილაქტიკისათვის მუშაობა და ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში ჩაბაბან ყველა დაინტერესებული ორგანიზაცია.

შესაბამისი რაიონული სამსახურების საქმიანობისადმი კონტროლის შენელებისადმი, რის გამო მოხდა წამატებები, ფიქციური დოკუმენტაციის შეიტანა, გამომძალველობა და სხვა ბოროტმოქმედებანი მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის დაზღვევაში, მიეთითათ ღუშეთის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს (ამხ. გ. ტ. წიკლაური), ცაგერის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს (ამხ. ა. ი. ონიანი), ლენტეხის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს (ამხ. ლ. ნ. ტყიბილიანი), ჩოხატაურის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს (ამხ. ხ. ზ. ცინცაძე), ხობის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს (ამხ. ლ. ლ. ბუკია), წალენჯიხის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს (ამხ. ვ. ა. ჭანტურია), გალის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს (ამხ. ნ. ა. თოდუა), შუახევის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს (ამხ. ა. ი. დათუშიძე) და ხულოს სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს (ამხ. გ. ა. შანიძე).

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს დავალა შეამოწმოს 1978 წლის მუშაობის შედეგებით ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა.

რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული გაზეთების რედაქციებმა პერიოდულად უნდა გააშუქონ პირუტყვის დაზღვევის საკითხები და გამოაკლინონ დარღვევები ამ ხაქმეში. (ხაინფორმი).

სამშენებლო მასალები — უეუფერხებლად

ახლა ენგურზე, როცა ახლოვდება გაზაფხის დღეები, მთელი ფრონტით გაშლილა საადეილისო მუშაობა. დღეს მშენებლობასთან ერთად მთავარი ყურადღება ექცევა ენგურჰესისათვის საჭირო ჰიდროტექნიკური მოწყობილობის დროულ მიღებას.

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან ენგურჰესისათვის უკვე იგზავნება სპეციალური მატარებლები, რომლებიც შეუფერხებლად შემოდიან გალის ბაზაში, სადაც ხდება ჰიდროტექნიკური მოწყობილობის გადმოტვირთვა.

ამას წინათ გალის ბაზაში ქ. ზაპოროჟიეს ტრანსფორმატორების ქარხნიდან სპეციალური მატარებელი ჩამოვიდა. მან ჩამოიტანა მეტად უჩვეულო ტვირთი — ძალური ტრანსფორმატორი, რომელიც 400.000 კილოვატი ამპერის სიმძლავრისაა და 315 ტონას იწონის. იგი განკუთვნილია ძალოვანი ერანძის სამმართველოს მიწისქვეშა ჰიდროელადგურზე დასამონტაჟებლად.

გუშინ კიდევ ერთი მორიგი ტვირთი ჩამოიტანა ბაზაში სპეციალურმა მატარებელმა ქ. მოსკოვის სატრანსპორტო ქარხნიდან — 32000 ამპერის-სიმძლავრის 115 ტონიანი ტრანსფორმატორი. ისიც ლია ქვესადგურზე დასამონტაჟებლად არის განკუთვნილი.

ვინც თავი ისახელა

როცა ენგურზე დიდი ელექტრობისათვის ლაშქრობა დაიწყო, მაშინ იგი საშუალო სკოლის მერხს უჯდა და მეცნიერების საფუძვლებს ეუფლებოდა. სკოლის კედლებშიც იგებდა ხოლმე ენგურჰესის მშენებელთა შრომით მამაცობის ამბავს. ოცნებით ბევრჯერ მათთან იყო. ამიტომ მტკიცედ გადაწყვიტა, როგორც კი დაამთავრებდა საშუალო სკოლას, ენგურჰესს სწვეოდა სამუშაოდ.

ეს იყო 10 წლის წინათ. კახა კვარაცხელია საშუალო სკოლის ატესტატით მივიდა ენგურჰესზე, კერძოდ მიწისქვეშა ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე და მუშად მოეწყო. ამ ხნის განმავლობაში იგი გამოცდილი ჰიდრომშენებლის გვერდით დავუკაცდა, როგორც კარგი მშენებელი. შრომა დაუფასდა კახას. მალე იგი სათავეში ჩაუდგა ძალოვანი ერანძის გვირაბგამყვანთა კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადას, რომელსაც თავისი წვლილი შეაქვს მშენებელთა მრავალათასიანი კოლექტივის ამოცანების წარმატებით განხორციელების საქმეში. დღეს ბრიგადა იბრძვის ენგურჰესის ავტოსატრანსპორტო სამმართველოს მძღოლთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის დევიზით — „ენგურის საათი“, რაც 7-საათიან სამუშაო დღეში 8 საათის ნორმის შესრულებას ითვალისწინებს. ენგურჰესს გასცდა მისი სახელი. 1977 წელს კახა კვარაცხელიამ მიწისქვეშა ჰესის მშენებლობაზე მამაცური შრომისათვის საკავშირო კომკავშირის პრემიის ლაურეატის სპატიო წოდება დაიმსახურა.

დიდმა ჯილდომ ფრთები შეასხა მას და უფრო გმირული შრომისათვის განაწყო. ამას წინათ იგი საქართველოს კომკავშირის დიდ ფორუმში — XXXI ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა. აქვე კ. კვარაცხელია სხვა მოწინავე ქართველ ჰაბუკებთან და ქალიშვილებთან ერთად საკავშირო კომკავშირის XVIII ყრილობის დელეგატად აირჩიეს.

პატიოსანმა შრომამ ანე გააცისკროვნა საბერიოელი ჰაბუკის კახა კვარაცხელიას ცხოვრების გზა.

* * *

ხურბოზი: ენგურჰესის მიწისქვეშა ჰიდროელექტროსადგურის მოწინავე გვირაბგამყვანი, საკავშირო კომკავშირის პრემიის ლაურეატი კახა კვარაცხელია.

თ. ფუტკარაძის ფოტო.

შეჯიბრების გმირები

ჯვრის წყალსაცავის დაგუბების დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა და კაშხალზე, გვირაბებში თუ მიწისქვეშა ჰესის მშენებლობებზე ცხარე დღეებია. თაღოვანი კაშხალის ტანში უწყვეტად ეწყობა ბეტონი, რამაც ცვლაში საშუალოდ 1400-1500 კუბური მეტრს მიაღწია.

22 მარტის მდგომარეობით მშენებლობის დაწყებიდან კაშხალის სხეულში ჩასხმულია 1 მილიონ 739.233 კუბური მეტრი მაღალი სიმტკიცის ბეტონი. უკვე გამოვლინდნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნიც. იმ კომპლექსურმა ბრიგადებმა, რომლებსაც მაჩამან ჯიხაძე და მიხეილ მოლნარი მეთაურობენ, 17 მარტს უპატაჟეს ბეტონის ჩასხმიც პირველი კვარტალის დავალების შესრულება.

საკდესის კორესპონდენტები გვატყობინებენ

□ **ვოლხოვი** (ლენინგრადის ოლქი) პირველი პროდუქცია გამოუშვა ვოლხოვის საწმენდ ნაგებობათა კომპლექსმა, რომელიც მწყობრში ჩადგა ვოლხოვის ალუმინის ქარხანაში. აქ ნარჩენებისგან მზადდება კრიოლიტი — მაღალი ხარისხის მარკის ალუმინის, მინის, კერამიკის, საღებავების წარმოებისათვის საჭირო მინერალი. მსგავსი ტექნოლოგიური ხაზები ახლა უკვე მოქმედებს ლენინგრადის ოლქის მთელ რიგ მსხვილ სამრეწველო საწარმოებში.

□ **ხარკოვი.** ხარკოველმა მეცნიერებმა შექმნეს კომბაინი, რომლის მეშვეობით ხორციელდება ახალგაზრდა წიწვიანი ტყეების ავტომატური „გამარგვლა“, რაც საჭიროა მათი პროდუქტიულობის ამაღლებისათვის. მანქანა, რომელიც მსუბუქი ტრაქტორით მუშაობს და ერთი ადამიანი ემსახურება, ცვლაში ამუშავებს ორ ჰექტარამდე ფართობს. სიახლე, რომელმაც პრაქტიკის შეტყევეთა მაღალი შეფასება დაიმსახურა, რეკომენდებულია სერიული გამოშვებისათვის.

□ **ირკუტსკი.** ხუთწლედის დამლევის მიჯნაზე საავიაციო ქარხანამ გადიდა სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება. ამ საწარმოს საამქროებიდან საეკონომიკო ორგანიზაციებში იგზავნება ორმოცი დასახელების პროდუქცია. აქ ყველა ნაწარმს უშვებენ მყიდველთა მოთხოვნის გათვალისწინებით, რომელსაც ქარხნის სპეციალისტები ეკონომიკის მუშაკებთან თანამეგობრობით სწავლობენ.

□ **ალმა-ათა.** დაიწყო ყაზახეთის ფერადი მეტალურგიის მართვის ავტომატიზებული სისტემის შექმნა. რესპუბლიკის დედაქალაქში საექსპლოატაციოდ გადაეცა ამ მნიშვნელოვანი დარგის მთავარი გამომთვლელი ცენტრი. მალე მართვის ავტომატიზებული სისტემა მოიცავს რესპუბლიკის ყველა უდიდეს სამთო გამამდიდრებელ და მეტალურგიულ საწარმოს.

□ **ბლაგოვეშჩენსკი.** ამურის, ეწვანე სალათის პირველი მოსავალი მიიღეს ბამის მშენებელთა ჩრდილოეთ დასახლებაში — ლაპრში აშენებული სასათბურე კომპლექსის მუშაკებმა. ორი წლის წინათ, როცა დასახლების საძირკველი ეყრებოდა, მოყვარულმა მებაღეებმა ადგილ დიდი-კვალსათბური, სადაც ბოსტნეულის კარგი მოსავალი მოიკრეფეს. წარმატებამ ფრთა შეასხა ენთუზიასტებს. მათ გამოუყვეს სახსრები და მასალები სასათბურე კომბინატის მშენებლობისათვის (საკდესი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

კიევი, 21 მარტი. (საკდესი). დღეს გაიმართა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმზე მოისმინეს და განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, უკრაინის სსრ საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ვ. ვ. შჩერბიცკის მოხსენება უკრაინის სსრ კონსტიტუციის პროექტის შესახებ.

მოხსენებასა და გამოსვლებში აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში დიდი მუშაობაა გაწეული უკრაინის სსრ ახალი კონსტიტუციის შექმნისათვის. შეიქმნა რესპუბლიკის ძირითადი კანონის პროექტის მოსამზადებელი კომისია. მის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, სსრ კავშირისა და უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, მეცნიერები, პარტიული და სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაკები. ყოველმხრივ იქნა გამოყენებული ის საკონსტიტუციო კომისიის გამოცდილება, რომელსაც ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მეთაურობდა.

უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ძირითადად მოიწონა უკრაინის სსრ კონსტიტუციის პროექტი და რეკომენდაცია მისცა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს გაიტანოს იგი საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

ჩვენს დიად სამშობლოში

მოსკოვი. ხაბჭოთა კავშირის მეტროლოგიური სამსახურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ქვეყნის მეთაური ორგანიზაციაა ხახალხო მეურნეობის მეტროლოგიური უზრუნველყოფის სამეცნიერო-მეთოდიკური, ტექნიკურ-ეკონომიკური და სამართლებრივი საფუძვლების შემუშავების დარგში. ინსტიტუტში წარმოება ეკონომიკის სხვადასხვა დარგში გაზომვების მდგომარეობის ანალიზი. ანალიზებს საფუძველზე ამუშავებენ პროგრამებს, რომელთა მიზანია წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების პრობლემების გადაწყვეტა გაზომვების ტექნიკის ხრულყოფის, სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესის პარამეტრების გამოცდისა და კონტროლის გზით.

სურათზე: ოპერატორი ნადეჟდა ანატოლიევა (წინა პლანზე) მუშაობს მყარი სხეულისა და თხელი აპკების ზედაპირის თვისებების კომპლექსური კვლევის დანადგარზე.

ა. სმირნოვის ფოტო. საკდესის ფოტოქრონიკა.

ჯვრის წყალსაცავის დაგუბებამდე 10 დღე დარჩა!

ენგურჰესი — დამკვრელური მოქმედებისა

„კომუნისტის“ სპეციალური ენგურჰესიდან მეტყველებენ



უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

კიევი, 21 მარტი. (საკდესი). დღეს გაიმართა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმზე მოისმინეს და განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, უკრაინის სსრ საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ვ. ვ. შჩერბიცკის მოხსენება უკრაინის სსრ კონსტიტუციის პროექტის შესახებ.

მოხსენებასა და გამოსვლებში აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში დიდი მუშაობაა გაწეული უკრაინის სსრ ახალი კონსტიტუციის შექმნისათვის. შეიქმნა რესპუბლიკის ძირითადი კანონის პროექტის მოსამზადებელი კომისია. მის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, სსრ კავშირისა და უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, მეცნიერები, პარტიული და სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაკები. ყოველმხრივ იქნა გამოყენებული ის საკონსტიტუციო კომისიის გამოცდილება, რომელსაც ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მეთაურობდა.

უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ძირითადად მოიწონა უკრაინის სსრ კონსტიტუციის პროექტი და რეკომენდაცია მისცა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს გაიტანოს იგი საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

საყოველთაო-სახალხო განხილვა

გაიმართა უზენაესის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც განიხილა უზენაესი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტის საკითხი.

მოხსენება კონსტიტუციის პროექტის შესახებ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, უზენაესის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, უზენაესის სსრ საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ შ. რ. რაშიდოვმა.

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ძირითადად მოიწონა საკონსტიტუციო კომისიის მიერ წარმოდგენილი უზენაესის სსრ კონსტიტუციის პროექტი და მიიღო გადაწყვეტილება გამოიტანოს იგი რესპუბლიკაში საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. მიღებულია ბრძანებულება იმის შესახებ, რომ აპრილში გაიმართოს უზენაესის სსრ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სხდომა. (საკდესი).

ჩვენ ქვეყანაში

ბაკურიანი. ბაკურიანის ტურბაზა ბოლო ხანებში ფართოდ ეწევა ტურისტული ბაზრის ათვისებას. ბაზა ორ ასეულ ადგილზე ამ ზაფხულ ოთხ ასეულ ადგილზე ამაღლებულ ტურისტებს ემსახურება. ბაზა ეწევა ტურისტული ბაზრის ათვისებას. ბაზა ორ ასეულ ადგილზე ამ ზაფხულ ოთხ ასეულ ადგილზე ამაღლებულ ტურისტებს ემსახურება. ბაზა ეწევა ტურისტული ბაზრის ათვისებას.

ბაკურიანი. ბაკურიანის ტურბაზა ბოლო ხანებში ფართოდ ეწევა ტურისტული ბაზრის ათვისებას. ბაზა ორ ასეულ ადგილზე ამ ზაფხულ ოთხ ასეულ ადგილზე ამაღლებულ ტურისტებს ემსახურება. ბაზა ეწევა ტურისტული ბაზრის ათვისებას.

21 მარტი ● „კრაკოვის“ ფურცლებზე

დავალება კომუნისტს

ახორციელებენ რა სკკპ XXV ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, პარტიული ორგანიზაციები ცდილობენ უფრო სრულად გამოიყენონ თავიანთი ძალები, უკეთ დაუყრდნონ კომუნისტთა გამოცდილებას, უნარს, ცოდნას, წერს გაზეთი. ამას ხელს უწყობს პარტიულ დავალებათა პრაქტიკის სრულყოფა, რაც ორგანიზატორულ და ადმინისტრაციულ მუშაობაში თითოეულის აქტიური ჩაბმის ნაცადი საშუალებაა.

ერთი სიტყვით, კომუნისტებისათვის დავალებათა დიაპაზონი უაღრესად ფართოა. ისინი გამომდინარეობს ცხოვრების მოთხოვნებიდან, ნაკარნახევია კონკრეტული ამოცანებითა რომლებსაც პარტიული ორგანიზაცია წყვეტს. მაგალითად, დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დავალებებს, რომლებიც უკავშირდება სოციალისტური შეჯიბრების განვითარებას, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას. კომუნისტთა მუდმივ ყურადღებას, აქტიურ პირად მონაწილეობას მოითხოვს ახალგაზრდობის აღზრდა, ამიტომ უკანასკნელ ხანს შესამჩნევად ფართოვდება დამრიგებელთა რიგები.

დავალებათა განაწილება შეიმუშავებითი ხაქმეა, რომელიც ვერ ითმენს ფორმალიზმს. ნათქვამია შემდეგ მოწინავეში. რა თქმა უნდა აუცილებელია მექანიკურად „გავანაწილოთ“ მოვალეობანი, მაგრამ რა ნაყოფს მოიტანს ეს? ყველაზე მეტ წარმატებას იქ აღწევენ, სადაც მაქსიმალურად ითვალისწინებენ თითოეული კომუნისტის უნარსა და მომზადებას. თუ დავალება შეესაბამება მის ინდივიდუალურ მიდრეკილებებს, იგი განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობს. ეს ხელსაყრელია საქმისათვისაც და ადამიანისათვისაც.

პარტიული დავალება კანონია ყველა კომუნისტისათვის და თითოეული მოვალეა ყველაფერი იღონოს, რათა რაც შეიძლება უკეთ შეასრულოს იგი, ვინაიდან ეს ბაზეთი. სწორედ ასეთი სულისკვეთებით უნდა ზრდიდეს პარტიული ორგანიზაცია ყველა თავის წევრს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, რომელთა გზა პარტიაში ახლა იწყება. საჭიროა, რომ ისინი პირველი ნაბიჯებიდანვე ღრმად ითვისებდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ ნორმებსა და პრინციპებს, ორგანულად სწვდებოდნენ შეგნებული პარტიული დისციპლინის მოთხოვნებს.

ეს ბეკრად არის დამოკიდებული დავალებათა შესრულებისადმი კონტროლზე. დისციპლინა მაშინ მტკიცდება, როცა არსებობს მაღალი მომთხოვნელობის ატმოსფერო. არ უნდა დაგვავიწყდეს იმის შემოწმება, თუ როგორ ეკიდება ადამიანი საქმეს, ეკითხოთ, რა გამოსდის რა არა და რატომ.

ლენინური პარტიის წევრისთვის არ არსებობს იმაზე მაღალი მოვალეობა, ვიდრე პარტიის ინტერესების ერთგული სამსახური, ყველა პარტიული დავალების კეთილსინდისიერი და შემოქმედებითი შესრულება, — ნათქვამია დასასრულ. ხოლო კომუნისტის მთავარი დავალებაა — ყოველთვის და ყველაფერში იყოს წინ, აქტიური ორგანიზატორი და მასების აღმზრდელი, იყოს მეწინავე კომუნიზმის მშენებელთა რიგებში.

მეითხველი ამ ნომერში

ოფფრავდა

ეროვნული ფასეულობანი

ეროვნული ფასეულობანი

ეროვნული ფასეულობანი

ეროვნული ფასეულობანი

ეროვნული ფასეულობანი

ეროვნული ფასეულობანი

ეროვნული ფასეულობანი

ეროვნული ფასეულობანი

ვოვთხოვნელოგაც არის და ვოვთხოვნელოგაც!

ანურატომ ვერ სწვდება ყველა ჭირველადს პარტიულ ორგანიზაციას პარტიის რაიკომის დახმარების ხელი?

ოჩამჩირის რაიონის ახალდაბის ლესელიძის სახელობისა და სომხური ათარის კამოს სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა ერთ-ერთმა პირველებმა დაუჭირეს მხარი რუსთაველ მეტალურგთა ცნობილ ინიციატივას— „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო — ჩვენ გვერდით!“

მოსალოდნელი იყო, რომ ამ კოლმეურნეობებში ყოველ ღონეს იხმარდნენ, რათა სიტყვა პრაქტიკული საქმით დაემშვენებინათ, ხოლო პარტიის ოჩამჩირის რაიკომი თავის მხრივ სისტემატურად ყურადღებასა და ზრუნვას არ მოაკლებდა მათ, სათანადოდ დაეხმარებოდა რაიონის ცენტრიდან საკმაო „მანძილით დაშორებულ ამ სოფლებს.

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ მას შემდეგ, რაც ახალდაბელმა კომუნისტებმა დაიწყეს თავიანთ სოფელში სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისთვის ბრძოლა, ამ პირველადი პარტორგანიზაციისათვის პარტიის რაიკომს პრაქტიკული დახმარება არ ეღმოჩენია. უფრო მეტიც: ოკვე წელიწადზე მეტია, რაც ამ სოფელში, და არა მარტო აქ, არამედ სომხურ ათარიში, პარტიის რაიკომის ზონის ინსტრუქტორი ერთხელაც არ გამოჩენილა. ასეთი „გულმავიწყობა“ მით უფრო გასაკვირია, რომ სომხური ათარის პირველადი პარტორგანიზაციისათვის პარტიის რაიკომს ოთხჯერ გამოუცხადა საყვედური?! ალბათ ენდნენ მის პარტიულ სიტყვას, სჯეროდათ, რომ ის გარდაქმნდა მუშაობას, მაგრამ მას შემდეგ განვლილი ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში რატომ ერთხელაც არ მივიდა ამ „პარტორგანიზაციაში რაიკომის წარმომადგენელი? რატომ არ დაინტერესდა მდივნის საქმიანობით?

რაიკომის მიერ მივიწყებულ ამ პარტორგანიზაციაში კი საქმე სულ უფრო და უფრო ყარესდება. პარტიული კრებები და ბიუროს სხდომები შემთხვევიდან შემთხვევამდე იმართება. პარტიული კრებების ოქმები და სხვა დოკუმენტები დაგვიანებით და ცუდად ფორმდება. აქ პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბრის დასაწყისში ჩატარდა, შემდგომი კრება — დეკემბერში, ხოლო მას შემდეგ დღემდე არც პარტიული კრება და არც პარტბიუროს სხდომა არ მოწვეულა.

კოლმეურნეობაში ჩამოლილია საagიტაციო-მასობრივი მუშაობა. არ გამოდის კედლის გაზეთი, ამ სოფელში ვერ ნახავთ მეათე ხუთწლედის მძლავრი მაჯისცემის ამსახველ ვერავითარ ლოზუნგსა და პლაკატს, კარგა ხანია, რაც სოფლის ცენტრში ამოსათვის სპეციალური სტენდი აუშენებიათ, მაგრამ ის დღემდე გაუფორმებელია. ყოველივე ამის შემდეგ, ცხადია, ზედმეტია ლაპარაკი პარტიული ორგანიზაციის, კომუნისტების ავანგარდულ როლზე და მათ მიერ კოლმეურნეობის გაძეგობის სამეურნეო საქმიანობისადმი სათანადო კონტროლის განხორციელებაზე.

კამოს სახელობის კოლმეურნეობა კი ამ რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთი მოწინავე იყო რაიონში. აქაური მშრომელები განსაკუთრებით განთქმული იყვნენ თამბაქოს, ჩაის და სხვა კულტურათა უხვი მოსავლით. მაგრამ უკანასკნელ ხანებში, სამწუხაროდ, კოლმეურნეობის მაჩვენებლები გაუარესდა. მაგალითად, კოლმეურნეობას შარშან სახელმწიფოსათვის 182 ტონა თამბაქოს ნედლეული უნდა მიეყიდა, მაგრამ ეს ოავალება აქაურმა მეთამბაქოეებმა მხოლოდ სანახევროდ შეასრულეს. ასევე დაბალი აქ სიმინდის მოსავლიანობა. გეგმით გათვალისწინებული 22 ცენტნერის ნაცვლად საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 11,5 ცენტნერი სიმინდის მარცვალი. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის დაბალ დონეს კოლმეურნეობის მესვეურები (თავმჯდომარე ს. ფარავაშტიანი) მოშაბერის ნაკლებობით და თამბაქოს ნედლეულის წარმოების არარენტაბელურად დაგეგმვით ხსნიან.

ეს გარემოება ნაწილობრივ მართლაც არ არის უსაფუძვლო, რადგან უკანასკნელ ორ წელიწადში სომხური ათარიდან წავიდა და სხვადასხვა რაიონში გადასახლება კოლმეურნეთა ასზე მეტი ოჯახი. განსაკუთრებით დიდია ახალგაზრდობის მიგრაცია. კოლმეურნეთა ასეთ დენადობას აქტიური კომუნისტები ა. კონდაქჩიანი, მ. კიულიანი, მ. გულორდავა და სხვები შემდეგი მიზეზით ხსნიან:

— ჩვენს მაღალმთიან სოფელს, გვითხრეს მათ, რაიონული ცენტრიდან 35 კილომეტრით აშორებს. როგორც გზები, ისე სოფლის ტერიტორია მოუწყობელია. სოფელში არ გვაქვს კლუბი. მართალია, ოციოდე წლის წინათ სოფლის ცენტრში დაიწყო კულტურის სახლის მშენებლობა, კედლებიც ამოიყვანეს, მაგრამ... დღეს ეს ნაგებობა ძველი ციხე-სიმაგრის ნანგრევებს წაგავს. სავალალო მდგომარეობაშია სოფლის ელექტროგაყვანილობა, რომელიც დიდი ხნის წინათ გაკეთდა. სიძველის გამო ბოძები იქცევა, მავთულები ხშირად წყდება, მაგრამ მის აღდგენა-რეკონსტრუქციაზე არავინ ფიქრობს. სოფელში ასევე მოუგვარებელია რადიოფიცირების საქმეც. უფრო უარეს მდგომარეობაშია სომხური ათარის სასოფლო საბჭოში შემავალი განპირა სოფელი ნაა, სადაც 85 კომლი ცხოვრობს.

სოფელ სომხური ათარის მშრომელთა ეს სატკივარი და საჭირბოროტო საკითხები არაერთგზის გამხდარა აქაური კომუნისტების მსჯელობის საგანი. ისინი მოითხოვდნენ ზემდგომი ორგანოების ზრუნვასა და დახმარებას. მაგრამ კომუნისტების ეს შეშფოთებანი და წინადადებები ჯერჯერობით მოუგვარებელი რჩება. აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ კოლმეურნეობის პარტიული ბიუროს ჯეროვან მონდომებასა და დაინტერესებას ვერ იჩენს, რათა მიაღწიოს იმას, რომ ზემდგომმა ორგანოებმა კომუნისტების სამართლიან შენიშვნებსა და წინადადებებზე სათანადო რეაგირება მოახდინონ, მხოლოდ ამ შენიშვნების ფიქსირებით კმაყოფილდება.

სოფელ სომხური ათარის კამოს სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია, რომელი პარტიის ოჩამჩირის რაიკომმა მიეიწყა, საბჭუსბაროდ, გამონაკლისი როდია. ანალოგიურ მდგომარეობაშია სოფელ ახალდაბის ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც 34 კომუნისტს ითვლიანებს. აი ფაქტებიც: 1977 წლის 16 ნოემბერს გაიმართა პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება. პარტბიუროს მდივანმა ს. ოთხოზორიამ კრებას წარუდგინა ზერელე, ყოველგვარ ანალიზს მოკლებული საანგარიშო მოხსენება, რომელშიც არ ჩანდა სიმწვავე, კრიტიკა და თვითკრიტიკა. კომუნისტებმაც თავიანთ გამოსვლებში ვერერი ოჯარეს არსებითს ნაკლოვანებებს, გაჩუმება და შემრგებელური პოზიციის დაკავება არჩიეს. მიღებული დადგენილებაც ზერელე და არაფრისმთქმელია.

სალაპარაკო კი ცოტა როდი ჰქონდათ ახალდაბელ კომუნისტებს. საკმარისია ითქვას, რომ რუსთაველთა ღვეზი — „არც ერთი უდისციპლინო და ჩამორჩენილი ჩვენ გვერდით!“ — მათ ვალდებულებებში მხოლოდ დეკეზდ დარჩა. აქ არა მარტო რიმელიმე ცალკეული კოლმეურნეთა ბრიგადა, არამედ მთელი კოლმეურნეობა ჩამორჩა სოციალისტურ შეჯიბრებაში. საიუბილეო წლის გეგმები და ვალდებულებები ვერ შეასრულეს ვერც მეთამბაქოეებმა და ვერც მესიმინდეებმა.

ეს ფაქტები იმაზეც მეტყველებს, რომ სოფელ ახალდაბის ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრების მომზადებისა და ჩატარებისათვის, როგორც ადგილზე კომუნისტებმა, ისე პარტიის ოჩამჩირის რაიკომმაც სათანადოდ არ იზრუნეს.

ამ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე პარტბიუროს მდივნად კოლმეურნეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამამზადებელი მ. ხალიანი აირჩიეს. ჩვენ დაინტერესდით, თუ როგორ დაიწყო მ. ხალიანმა, როგორც პარტიბიუროს მდივანმა, მუშაობა. როგორ აპირებდა კომუნისტების ნდობის გამართლებას.

როცა ვიზოვეთ ეჩვენებინა ჩვენთვის პარტიული კრებების ოქმები და სხვა დოკუმენტები, მან განცვიფრებით გვითხრა: — მე ჯერ არაფერი გამიკეთებია, არც პარტიული საქმეები ჩამიბარებია, ფიზიკურადაც ვერ მოვიცალე პარტიიელ მუშაობისათვის, რადგან დამზადების საქმეებით ვარ დატვირთული. ეს არჩევნების დღესაც განვიცხადეთ(?!).

როგორც იქნა, პარტიული მეურნეობა მაინც ენახეთ: ეს სპეციალიზებული სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციისათვის უპარტიო ნ. ყურაშვილისათვის „მიუბარებიათ“...

საანგარიშო-საარჩევნო კრების შემდეგ თითქმის ოთხი თვე გავიდა, მაგრამ ახალდაბის ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციისათვის ვერც მისმა მდივანმა „მოიცალა“ და იგი ჯერჯერობით არც პარტიის ოჩამჩირის რაიკომის მუშაკებს „გახსენებიათ“.

როგორც ჩანს, პარტიის ოჩამჩირის რაიკომი ყველა პირველადს პარტიულ ორგანიზაციას ვერ უწევს სათანადო ხელმძღვანელობას, საქმიან დახმარებას, ზოგი კი ნამდვილად თავგანებებულია.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ყოველდღიურ ბრძოლაში ვოვიჯნავე პროფესია

ისინი ოცდახუთნი არიან. ამ შრომითს კოლექტივში დამეგობრდნენ, აქ ეზიარნენ მკერავის პროფესიას. თითოეული მათგანი ზრუნავს ყველასთვის და ყველა ერთისათვის. ასე დაახასიათა ნ. უზნაძემ — ჭიათურის სამკერვალო ფაბრიკის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ საწარმოს მკერავთა № 67 ბრიგადა, რომლის წევრებიც კომუნისტური შრომის სკოლის მსმენელები არიან. შრომას სწავლა, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის კარგად შეხამება უნდა, — თქვა საუბარში კომუნისტური შრომის სკოლის ხელმძღვანელმა, ახალგაზრდა ინჟინერმა ლ. მარუაშვილმა, — და სამეცადინო ოთახში მივგვიწვია.

ფართო და ნათელი ოთახის კედლებზე მრავალი თვალსაჩინოება და პლაკატია გამოფენილი. ყურადღებას იპყრობს ლამაზად დაწერილი ლოზუნგები: „ვიბრძოლოთ ჩვენს სამუშაო უბანზე შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის მომჭირნეობისა და ყირათიანობისათვის!“, „ფართო გზა — თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ გამომკეთთა ბრიგადის ბრიგადირის გ. რიმნიშთავლის გამოცდილების გავრცელებას!“, „ვიბრძოლოთ მსუბუქი მრეწველობის სისტემის კომუნისტური შრომის სკოლების რესპუბლიკურ დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებისათვის!“

— ეს ლოზუნგები, — თქვა პროპაგანდისტმა, — ყოველდღიური შრომის დევიზად ვაქციეთ. არც შედეგებს ვემდურით: გასული წელი ფაბრიკამ კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა, ხოლო გ. რიმნიშთავლის მიმდევრებმა ა. ჯაჯანიძემ და ც. ცნობილაძემ 15.000 მეტრი ქსოვილი დაზოგეს. ეკონომია ვვაქვს ელექტროენერგიის და სხვა დამხმარე მასალების ხარჯვაში. ცუდად არც მიმდინარე წელი დაგვიწყია. პროდუქციის გამოშვებას გეგმას ვასრულებთ, მაგრამ ვერ ვასრულებთ შრომის ნაყოფიერების ამაღლების დავალებას. იანვარში ამ მაჩვენებელმა მხოლოდ 86 პროცენტს მიაღწია, რაც სხვადასხვა ფაქტორმა განაპირობა, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ შარშანდელთან შედარებით 123-ით გაიზარდა მუშათა რიცხვი და შესაბამისი გეგმა დღემდე არ მოუცია ჩვენთვის ქუთაისის კიროვის სახელობის მეოთხე სამკერვალო გაერთიანებას.

ეს ფაქტი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მკაცრი მსჯელობის საგანი გახდა. სწორედ ამ პრობლემას მივუძღვენით კომუნისტური შრომის სკოლის მორიგი მეცადინეობაც, რომელიც 22 თებერვალს გაიმართა.

შესასწავლმა თემამ — „მაღალი შრომის ნაყოფიერების სტიმულები“ — მსმენელთა ინტერესი გამოიწვია. ბრიგადის წევრებს გაუმარტეს სკკპ XXV ყრილობის დირექტივიები დასახული საკითხები წარმოების ეფექტიანობის და შრომელთა კეთილდღეობის განუხრელი კავშირის, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპისა და ხელფასის თანაფარდობის, მატერიალური და მორალური სტიმულების შესახებ, საწარმოს ადმინისტრაციისა და პროფკავშირის უფლებები შრომის ანაზღაურების საკითხების გადაწყვეტისას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მორალური სტიმულირების როლს განვითარებული სოციალიზმის პირობებში და საწარმოში დამრიგებლობის ფართოდ გავრცელებას.

ყოველი თეორიული საკითხის განმარტება მჭიდროდ დაუკავშირეთ პრაქტიკულ მუშაობას. ბრიგადა დასპეციალებულია „ჯინსის“ და ხავერდის შარვლების კერვაზე. ტექნოლოგიურად თითოეული შარვლის შეკერას 32 პროცესი სჭირდება, ესე იგი უნდა გაიარის 32 მკერავის ხელში. თუ მუშას კვალიფიკაციის ავუმაღლებთ და ისინი დაეუფლებიან რამდენიმე მომიჯნავე პროცესს, მაშინ შემცირდება მუშათა რიცხვი, გაიზრდება შრომის ნაყოფიერება. ასეთი მუშები კი ბრიგადაში მრავლად არიან.

მკერავ მ. სამხარაძეს მესამე თანრიგი აქვს, რომელსაც კონვეიერულ ხაზზე თავისუფლად შეუძლია შეასრულოს ორი მუშის მოვალეობა. მან ინირა ახალგაზრდა მ. ეროგოლაძის დამრიგებლობა, გადაწყვეტილი აქვს უმოკლეს დროში შეასწავლოს შარვლის საქმიანობა ნ. ჯიბაძე ემბლემის დაკერება. ნ. ჭიტაძემ თავისი უმცროსი ელენეს ლ. ბრეგვაძის დამრიგებლობა აღიარა.

მეცადინეობაზე მოწყვანეს კონკურტული მაგალითები. ქალაქ ჭიათურის მე-100 წლისთავის ზეიმისათვის მზადებასთან დაკავშირებთ ე. ცერცვაძე ხუთი დღით გაათავისუფლეს სამუშაოდან. იგი ორნემსიან მანქანაზე მუშაობს და რთულ ტექნოლოგიურ პროცესსაც ასრულებს. ამ შემთხვევაზ ბრიგადის საქმიანობა არ გაორთულებია. თავის ძირითად საქმესთან ერთად მისი მოვალეობა საუკეთესოდ შეასრულა მკერავმა მ. ასანიძემ.

მალე ყველა მკერავი დაეუფლება მომიჯნავე პროფესიას და კონვეიერთან 32-ის ნაცვლად 25 ქალი იმუშავებს. ამ პირობებში უნდა უზრუნველყოთ ყოველდღიურად 430 „ჯინსის“ ან 360 ხავერდის შარვლის შეკერვა. ამ გზით გავზრდით შრომის ნაყოფიერებას, რაც შესაბამისად უზრუნველყოფს მუშათა ხელფასის გადიდებას.

როდესაც სკოლის მუშაობამ ეცნობი, სასადამენო შთაბეჭდილება გვრჩება. პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა, პუნქტუალობა, მტკიცე დისციპლინა, სადღეისო მოთხოვნების შეგნება და, რაც მთავარია, უწუხნო მუშაობის დანერგვა.

შეწყობილად და რიტმულად მუშაობს ბრიგადა. შარშან მათ ორჯერ დაიმსახურეს გარდამავალი ვიმპელი და თულადი ჯილდო.

— ჩვენი მიზანია, — თქვა დასასრულ საუბარში პროპაგანდისტმა ლ. მარუაშვილმა, — რომ პრაქტიკულად გუპასუხოთ პარტიის მიერ წამოყენებულ დევიზს. „შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, მომჭირნეობასა და ყირათიანობას — პროპაგანდისტული ზრუნვა!“ ვფიქრობ, ვამართლებთ ამ სპატიო მისიას, კიდევ უფრო უკეთ წარვმართავთ მუშაობას ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა შესრულებისათვის, ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

ო. ნიჟაბაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ვოვთხოვნელოგაც არის და ვოვთხოვნელოგაც!

ანურატომ ვერ სწვდება ყველა ჭირველადს პარტიულ ორგანიზაციას პარტიის რაიკომის დახმარების ხელი?

ოჩამჩირის რაიონის ახალდაბის ლესელიძის სახელობისა და სომხური ათარის კამოს სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა ერთ-ერთმა პირველებმა დაუჭირეს მხარი რუსთაველ მეტალურგთა ცნობილ ინიციატივას— „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო — ჩვენ გვერდით!“

მოსალოდნელი იყო, რომ ამ კოლმეურნეობებში ყოველ ღონეს იხმარდნენ, რათა სიტყვა პრაქტიკული საქმით დაემშვენებინათ, ხოლო პარტიის ოჩამჩირის რაიკომი თავის მხრივ სისტემატურად ყურადღებასა და ზრუნვას არ მოაკლებდა მათ, სათანადოდ დაეხმარებოდა რაიონის ცენტრიდან საკმაო „მანძილით დაშორებულ ამ სოფლებს.

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ მას შემდეგ, რაც ახალდაბელმა კომუნისტებმა დაიწყეს თავიანთ სოფელში სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისთვის ბრძოლა, ამ პირველადი პარტორგანიზაციისათვის პარტიის რაიკომს პრაქტიკული დახმარება არ ეღმოჩენია. უფრო მეტიც: ოკვე წელიწადზე მეტია, რაც ამ სოფელში, და არა მარტო აქ, არამედ სომხურ ათარიში, პარტიის რაიკომის ზონის ინსტრუქტორი ერთხელაც არ გამოჩენილა. ასეთი „გულმავიწყობა“ მით უფრო გასაკვირია, რომ სომხური ათარის პირველადი პარტორგანიზაციისათვის პარტიის რაიკომს ოთხჯერ გამოუცხადა საყვედური?! ალბათ ენდნენ მის პარტიულ სიტყვას, სჯეროდათ, რომ ის გარდაქმნდა მუშაობას, მაგრამ მას შემდეგ განვლილი ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში რატომ ერთხელაც არ მივიდა ამ „პარტორგანიზაციაში რაიკომის წარმომადგენელი? რატომ არ დაინტერესდა მდივნის საქმიანობით?

რაიკომის მიერ მივიწყებულ ამ პარტორგანიზაციაში კი საქმე სულ უფრო და უფრო ყარესდება. პარტიული კრებები და ბიუროს სხდომები შემთხვევიდან შემთხვევამდე იმართება. პარტიული კრებების ოქმები და სხვა დოკუმენტები დაგვიანებით და ცუდად ფორმდება. აქ პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბრის დასაწყისში ჩატარდა, შემდგომი კრება — დეკემბერში, ხოლო მას შემდეგ დღემდე არც პარტიული კრება და არც პარტბიუროს სხდომა არ მოწვეულეა.

კოლმეურნეობაში ჩამოლილია საagიტაციო-მასობრივი მუშაობა. არ გამოდის კედლის გაზეთი, ამ სოფელში ვერ ნახავთ მეათე ხუთწლედის მძლავრი მაჯისცემის ამსახველ ვერავითარ ლოზუნგსა და პლაკატს, კარგა ხანია, რაც სოფლის ცენტრში ამოსათვის სპეციალური სტენდი აუშენებიათ, მაგრამ ის დღემდე გაუფორმებელია. ყოველივე ამის შემდეგ, ცხადია, ზედმეტია ლაპარაკი პარტიული ორგანიზაციის, კომუნისტების ავანგარდულ როლზე და მათ მიერ კოლმეურნეობის გაძეგობის სამეურნეო საქმიანობისადმი სათანადო კონტროლის განხორციელებაზე.

კამოს სახელობის კოლმეურნეობა კი ამ რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთი მოწინავე იყო რაიონში. აქაური მშრომელები განსაკუთრებით განთქმული იყვნენ თამბაქოს, ჩაის და სხვა კულტურათა უხვი მოსავლით. მაგრამ უკანასკნელ ხანებში, სამწუხაროდ, კოლმეურნეობის მაჩვენებლები გაუარესდა. მაგალითად, კოლმეურნეობას შარშან სახელმწიფოსათვის 182 ტონა თამბაქოს ნედლეული უნდა მიეყიდა, მაგრამ ეს ოავალება აქაურმა მეთამბაქოეებმა მხოლოდ სანახევროდ შეასრულეს. ასევე დაბალია აქ სიმინდის მოსავლიანობა. გეგმით გათვალისწინებული 22 ცენტნერის ნაცვლად საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 11,5 ცენტნერი სიმინდის მარცვალი. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის დაბალ დონეს კოლმეურნეობის მესვეურები (თავმჯდომარე ს. ფარავაშტიანი) მოშაბერის ნაკლებობით და თამბაქოს ნედლეულის წარმოების არარენტაბელურად დაგეგმვით ხსნიან.

ეს გარემოება ნაწილობრივ მართლაც არ არის უსაფუძვლო, რადგან უკანასკნელ ორ წელიწადში სომხური ათარიდან წავიდა და სხვადასხვა რაიონში გადასახლება კოლმეურნეთა ასზე მეტი ოჯახი. განსაკუთრებით დიდია ახალგაზრდობის მიგრაცია. კოლმეურნეთა ასეთ დენადობას აქტიური კომუნისტები ა. კონდაქჩიანი, მ. კიულიანი, მ. გულორდავა და სხვები შემდეგი მიზეზით ხსნიან:

— ჩვენს მაღალმთიან სოფელს, გვითხრეს მათ, რაიონული ცენტრიდან 35 კილომეტრით აშორებს. როგორც გზები, ისე სოფლის ტერიტორია მოუწყობელია. სოფელში არ გვაქვს კლუბი. მართალია, ოციოდე წლის წინათ სოფლის ცენტრში დაიწყო კულტურის სახლის მშენებლობა, კედლებიც ამოიყვანეს, მაგრამ... დღეს ეს ნაგებობა ძველი ციხე-სიმაგრის ნანგრევებს წაგავს. სავალალო მდგომარეობაშია სოფლის ელექტროგაყვანილობა, რომელიც დიდი ხნის წინათ გაკეთდა. სიძველის გამო ბოძები იქცევა, მავთულები ხშირად წყდება, მაგრამ მის აღდგენა-რეკონსტრუქციაზე არავინ ფიქრობს. სოფელში ასევე მოუგვარებელია რადიოფიცირების საქმეც. უფრო უარეს მდგომარეობაშია სომხური ათარის სასოფლო საბჭოში შემავალი განპირა სოფელი ნაა, სადაც 85 კომლი ცხოვრობს.

სოფელ სომხური ათარის მშრომელთა ეს სატკივარი და საჭირბოროტო საკითხები არაერთგზის გამხდარა აქაური კომუნისტების მსჯელობის საგანი. ისინი მოითხოვდნენ ზემდგომი ორგანოების ზრუნვასა და დახმარებას. მაგრამ კომუნისტების ეს შეშფოთებანი და წინადადებები ჯერჯერობით მოუგვარებელი რჩება. აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ კოლმეურნეობის პარტიული ბიუროს ჯეროვან მონდომებასა და დაინტერესებას ვერ იჩენს, რათა მიაღწიოს იმას, რომ ზემდგომმა ორგანოებმა კომუნისტების სამართლიან შენიშვნებსა და წინადადებებზე სათანადო რეაგირება მოახდინონ, მხოლოდ ამ შენიშვნების ფიქსირებით კმაყოფილდება.

სოფელ სომხური ათარის კამოს სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია, რომელი პარტიის ოჩამჩირის რაიკომმა მიეიწყა, საბჭუსბაროდ, გამონაკლისი როდია. ანალოგიურ მდგომარეობაშია სოფელ ახალდაბის ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც 34 კომუნისტს ითვლიანებს. აი ფაქტებიც: 1977 წლის 16 ნოემბერს გაიმართა პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება. პარტბიუროს მდივანმა ს. ოთხოზორიამ კრებას წარუდგინა ზერელე, ყოველგვარ ანალიზს მოკლებული საანგარიშო მოხსენება, რომელშიც არ ჩანდა სიმწვავე, კრიტიკა და თვითკრიტიკა. კომუნისტებმაც თავიანთ გამოსვლებში ვერერი ოჯარეს არსებითს ნაკლოვანებებს, გაჩუმება და შემრგებელური პოზიციის დაკავება არჩიეს. მიღებული დადგენილებაც ზერელე და არაფრისმთქმელია.

სალაპარაკო კი ცოტა როდი ჰქონდათ ახალდაბელ კომუნისტებს. საკმარისია ითქვას, რომ რუსთაველთა ღვეზი — „არც ერთი უდისციპლინო და ჩამორჩენილი ჩვენ გვერდით!“ — მათ ვალდებულებებში მხოლოდ დეკეზდ დარჩა. აქ არა მარტო რიმელიმე ცალკეული კოლმეურნეთა ბრიგადა, არამედ მთელი კოლმეურნეობა ჩამორჩა სოციალისტურ შეჯიბრებაში. საიუბილეო წლის გეგმები და ვალდებულებები ვერ შეასრულეს ვერც მეთამბაქოეებმა და ვერც მესიმინდეებმა.

ეს ფაქტები იმაზეც მეტყველებს, რომ სოფელ ახალდაბის ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრების მომზადებისა და ჩატარებისათვის, როგორც ადგილზე კომუნისტებმა, ისე პარტიის ოჩამჩირის რაიკომმაც სათანადოდ არ იზრუნეს.

ამ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე პარტბიუროს მდივნად კოლმეურნეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამამზადებელი მ. ხალიანი აირჩიეს. ჩვენ დაინტერესდით, თუ როგორ დაიწყო მ. ხალიანმა, როგორც პარტბიუროს მდივანმა, მუშაობა. როგორ აპირებდა კომუნისტების ნდობის გამართლებას.

როცა ვიზოვეთ ეჩვენებინა ჩვენთვის პარტიული კრებების ოქმები და სხვა დოკუმენტები, მან განცვიფრებით გვითხრა: — მე ჯერ არაფერი გამიკეთებია, არც პარტიული საქმეები ჩამიბარებია, ფიზიკურადაც ვერ მოვიცალე პარტიიელ მუშაობისათვის, რადგან დამზადების საქმეებით ვარ დატვირთული. ეს არჩევნების დღესაც განვიცხადეთ(?!).

როგორც იქნა, პარტიული მეურნეობა მაინც ენახეთ: ეს სპეციალიზებული სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციისათვის უპარტიო ნ. ყურაშვილისათვის „მიუბარებიათ“...

საანგარიშო-საარჩევნო კრების შემდეგ თითქმის ოთხი თვე გავიდა, მაგრამ ახალდაბის ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციისათვის ვერც მისმა მდივანმა „მოიცალა“ და იგი ჯერჯერობით არც პარტიის ოჩამჩირის რაიკომის მუშაკებს „გახსენებიათ“.

როგორც ჩანს, პარტიის ოჩამჩირის რაიკომი ყველა პირველადს პარტიულ ორგანიზაციას ვერ უწევს სათანადო ხელმძღვანელობას, საქმიან დახმარებას, ზოგი კი ნამდვილად თავგანებებულია.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ხარისხისნიშნიანი მანქანები



კუბა, ავღანეთი, ირანი, ერაყი, ინდოეთი, აფრიკის ქვეყნები — აი არასრული სია იმ ხალხმეურნეობისა, სადაც თავის პროდუქციას აგზავნის ფოთის ჰიდრომექანიზაციის მანქანათაშენებელი ქარხანა.

ამას წინათ ქარხნის მშრომელებმა გამოუშვეს ზრს-ბ ტიპის ხალხმეურნეობა ხარისხისნიშნიანი მიწასაწოვი მანქანების ხერხული პარტია.

ეს „მცურავი მანქანა“ განკუთვნილია ხარწყავი სიხტემების გასაწმენდად, არხების მშენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის. ერთ საათში იგი ამუშავებს 200 კუბურ მეტრ მიწას. დამუშავებული მიწის სიღრმეა 6-დან 11 მეტრამდე.

45-ასეთ მიწასაწოვ მანქანას გამოუშვებენ ფოთელები ხუთწლედის მესამე წელს. ქარხნის კიდევ ერთ მიწასაწოვ მანქანას უპ2-2-ს მინიჭებული აქვს ხაპატეო ხუთკუთხედი.

ფოთის ქარხანა საბჭოთა კავშირში ერთადერთი საწარმოა, რომელიც ხადიზელო ტიპის მიწასაწოვი მანქანების გამოშვებაზე ხეციალდება.

სურათზე: ფოთის ჰიდრომექანიზაციის მანქანათაშენებელი ქარხნის პროდუქცია. მძღავრი მიწასაწოვი მანქანა მუშაობს კოლხეთის დაბლობის ჭაობების დაშრობაზე.

ი. ჰუზონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოკორესპონდენტი).

„კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

ზომები მიღებულია

რედაქციას უპასუხებს ცეკავშირის გამგეობა

ზუგდიდის სარაიონთაშორისო სავაჭრო ბაზის ზონის მომსახურების კოოპერაციონიზატორთა მოუმზადებლად და უხარისხოდ მოწყობილ თათბირს ეხებოდა ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი კრიტიკული წერილი — „თათბირიც არის და თათბირიც“. ამის გამო ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ა. კობახიძე გვატყობინებს: **წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეესაბამება.**

თათბირი განზრახულია იქნა მოწვეული 10 ივნვარს. მის მუშაობას ხელმძღვანელობდა ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე კ. შავიშვილი. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ზუგდიდის სარაიონთაშორისო სავაჭრო ბაზის მომსახურების ზონაში შემავალი კოოპორგანიზაციათა ხელმძღვანელები, ფართო აქტივი, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოებიის წარმომადგენლები.

ცეკავშირის გამგეობამ დასახა ღონისძიებები მომავალში ასეთი ფაქტების თავიდან აცილებისათვის.

რედაქციას უპასუხებს თბილისის საბჭოს აღმასკომის „ინფმშენის“ ტრესტი

ჩვენი გაზეთის მოწინავე სტატიაში მხილებული იყო თბილისში კიკეთის ქუჩისა და მისი მიდამოების გაზიფიკაციის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი. ამის გამო თბილისის საბჭოს აღმასკომის „ინფმშენის“ ტრესტის მთავარი ინჟინერი თ. ებრალიძე რედაქციას აცნობებს:

წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეესაბამება. ამასთან დაკავშირებით ტრესტში მოწვეულ თათბირზე განიხილეს ელიას დასახლებისა და ხაწარმოდაწესებულებათა გაზით მომარაგების გაჯიანურების მიზეზები. როგორც აღინიშნა, გაზსადენის საეკსპლოატაციოდ გადაუცემლობა გამოწვეული იყო უხარისხოდ ჩაწყობილი მილების გამო. ყოველივე ეს კი № 3 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უყურადღებობის ბრალია, რაც უახლოეს ხანში მოგვარდება.

ნახალხო მეურნეობაში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის შემდგომი სრულყოფის საკითხები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის ორგანოების მოცანები — განიხილეს თბილისში მოწყობილი საკონტროლო-სარევიზიო სამსახურის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეებმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ შ. კიკნაძემ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ ფინ

საერთაშორისო ცხოვრება

ქლეკვლიო ღღეს ● ქლეკვლიო ღღეს ● ქლეკვლიო ღღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
იტყობინება

ძირს ნეიტრონული ბომბი!

ნაგასაკი და ხიროსიმაზე აფეთქებული ატომური ბომბის შორეული გუგუნი დღემდე წვდება და აშფოთებს ჩვენს სმენასა და გონებას, გულსა და გრძნობას. მაგრამ მაინც ჩვენი პლანეტა ჯერ არ ყოფილა ისეთი გლობალური და რეალური კატასტროფის, ისეთი საშიშროების წინაშე, როგორითაც გაჟღენთილი არის დღეს მთელი ჩვენი ულამაზესი დედამიწა იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში გადწყვიტა დაიწყოს ნეიტრონული ბომბის წარმოება.

მე მჯერა, რომ გამოვთქვამ არა მარტო საბჭოთა მწერლის, არამედ ჩვენი პლანეტის ყველა კუთხეში მცხოვრები ყველა პროგრესულად მოაზროვნე შემოქმედის აღშფოთებას ნეიტრონული ბომბის, ადამიანთა მოსპობის მასობრივი იარაღის გამოჩენის გამო, ყველა შემოქმედისა, რომელსაც თავის მოწოდებად დაუსახავს, თავისივე პროფესიული ტრადიციების მიხედვით, მხარი დაუჭიროს კეთილ საწყისს, იბრძოლოს მისი გამარჯვებისათვის.

პოეტის, მხატვრის, მუსიკოსის, ყველა შემოქმედის სული დაუყოვნებლივ მოითხოვს:

ძირს ნეიტრონული ბომბი!

უარი ნეიტრონულ იარაღს!

ადამიანთა მასობრივი ქლეტის ეს ახალი იარაღი, თუ მისი წარმოება მართლაც მოეწყობა ამერიკის შეერთებულ შტატებში საუკუნოდ სამარცხვინო ბოქჩე გაიკრავს, ჯერ გაუგონარ დამნაშავეთა სკამზე დასხამს მის შემქმნელ ადამიანებსაც და იმ ქვეყანასაც, სადაც ეს ჯოჯოხეთური მანქანა დაიბადება. ჩვენ, სიცოცხლის მომღერლები, ქვეყნად კეთილის გამარჯვების მომღერლები, არც ერთ კაცს და არც ერთ ქვეყანას არ ვუსურვებთ ამ საბედისწერო, ამ საშინელ, ამ ხაზიზღარ ხვედრს.

ირაკლი აბაშიძე,
პოეტი-აკადემიკოსი.

გადაჭრით ვგმობთ

უკანასკნელ წლებში შესამჩნევად გაჯანსაღდა საერთაშორისო ვითარება.

მაგრამ რა ავისმომასწავებლად გამოიყურება ამერიკის შეერთებულ შტატების გეგმები.

ჩვენ, მეცნიერები, მტკიცე პროტესტს ვაცხადებთ რა ამ გეგმების წინააღმდეგ, მთლიანად და სავსებით ვუჭერთ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წინადადებას ნეიტრონული იარაღის წარმოებაზე ურთიერთხელისაღების შესახებ.

ქ. ბურდიაშვილი,
გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კლინინის სახელობის კოლმეურნეობის მეკვლახეთა ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი.

მშვიდობისა და სოციალიზმის ინჯენერებისათვის

პრაღა. 20 მარტი (საკადესი). ჩვენ ვეყრდნობით საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ძმურ ერთიანობას, განვამტკიცებთ და ვავითარებთ ჩვენს ძალას, ცოდნასა და ყველაზე რთული საკითხების გადაჭრის უნარს, განაცხადა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ბილიაკმა, რომელიც გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. ამის დამაჯერებელი დადასტურებაა საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი მოქალაქეების ერთობლივი ფრენა კოსმოსში, რამაც სიამაყისა და სიხარულის გრძნობა გამოიწვია ჩვენში.

რაც უფრო მეტ წარმატებას აღწევენ სოციალისტური ქვეყნები, საერთაშორისო კომუნისტური, მუშათა და სახალხო-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, მით უფრო გაადფრენით ესმის თავს. მსოფლიო იმპერიალიზმი პროგრესულ ძალებს, თქვა ბილიაკმა. იმპერიალიზმის რეაქციული ძალები კამოდიან აშკარა და ფარული ანტიკომუნიზმის, ანტისაბჭოურობის პოზიციებიდან, ეწევიან გაწაფულ ფსიქოლოგიურ ომს, აწყობენ იდეოლოგიურ დივერსიებს.

ამასთან დაკავშირებით ორატორი შეეხო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ურთიერთობას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან. ჩვენი ხალხი, აღნიშნა მან, ისევე როგორც მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი, დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს იმას, თუ რა მიმართულებით წავიდოდა ჩინეთი მაო ძე-დუნის გარდაცვალების შემდეგ. აღმოჩნდა, როგორც ეს დაადასტურეს ჩინეთის კომპარტიის XI ყრილობამ და სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების ამასწინანდელმა სესიამ, რომ ახალ ხელმძღვანელობას არ უარუყვია მაოიზმის მთლიანად სახელგატეხილი იდეოლოგია და პრაქტიკა და ცდილობს განსორციელოს დიდმასშტაბიანი შოვინისტური მიზნები. ანტისაბჭოურობა, სოციალიზმისა და მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა საერთაშორისო ასპარეზზე ჩინეთის ახალი ხელმძღვანელობის მზარდი აქტიურობის მთავარი მიზანი გახდა. იცავს რა „სამი სამყაროს“ ყმადაღებულ თეორიას, ჩინეთის ხელმძღვანელობა ცდილობს თავის მხარეზე გადაიბიროს და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აამხედროს ყველა, ვინც კი შესაძლებელია, მათ შორის იმპერიალისტური რეაქციაც.

პეკინის ხელმძღვანელობა ეწევა ახალი მსოფლიო ომის გარდუვალობის პროპაგანდას, აწარმოებს ბრძოლას სოციალისტური ქვეყნების იმ ღონისძიებების წინააღმდეგ, რომ გაადრმავონ საერთაშორისო დაბალუნობის შენელების პროცესი, შეაჩერონ გამაფუჭები შეიარაღება და მიაღწიონ განიარაღებას. ჩინეთის ხელმძღვანელობის ასეთი პოლიტიკა ხელს უწყობს ხალხთა ეროვნული ინტერესების ანტისოციალისტურ, ანტიხალხურ პოლიტიკას და ამავე დროს გვაფრთხილებს ჩინელი ხალხის სიბრძნე, მისი უნარი, რომ პროგრესისა და მშვიდობის გზაზე დაიბრუნოს თავისი დიდი ქვეყანა.

ვ. ბილიაკი შეეხო აგრეთვე საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ზოგიერთ პრობლემას. პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, თქვა მან, ჩვენ მიგვაჩნია მარქსიზმ-ლენინიზმის ერთერთ მთავარ პრინციპად, მუშათა კლასისა და მშრომელთა მძლავრ იარაღად, საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჟრილობა გაიმართება ივნისში

ბელგრადი, 20 მარტი. (საკადესი). დღეს აქ გაიმართა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, მან მიიღო გადწყვეტილება ამა წლის 20-23 ივნისს ბელგრადში იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის XI ყრილობის მოწვევის შესახებ. ყრილობის დღის წესრიგშია ანგარიში იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის შესახებ ორ ყრილობას შორის პერიოდში, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარის ი. ბროზ ტიტოს მოხსენება, ყრილობის რეზოლუციების, პარტიის წესდების ცვლილებებისა და დამატებების მიღება, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური ორგანოების შემადგენლობის დამტკიცება.

პლენუმმა განიხილა და დამტკიცა ორ ყრილობას შორის პერიოდში იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირისა და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის ანგარიშის პროექტი და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის წესდების ცვლილებებისა და დამატებების პროექტი.

ვ. ბილიაკის გამოსვლა

□

რესპუბლიკის ურთიერთობას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან. ჩვენი ხალხი, აღნიშნა მან, ისევე როგორც მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი, დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს იმას, თუ რა მიმართულებით წავიდოდა ჩინეთი მაო ძე-დუნის გარდაცვალების შემდეგ. აღმოჩნდა, როგორც ეს დაადასტურეს ჩინეთის კომპარტიის XI ყრილობამ და სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების ამასწინანდელმა სესიამ, რომ ახალ ხელმძღვანელობას არ უარუყვია მაოიზმის მთლიანად სახელგატეხილი იდეოლოგია და პრაქტიკა და ცდილობს განსორციელოს დიდმასშტაბიანი შოვინისტური მიზნები. ანტისაბჭოურობა, სოციალიზმისა და მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა საერთაშორისო ასპარეზზე ჩინეთის ახალი ხელმძღვანელობის მზარდი აქტიურობის მთავარი მიზანი გახდა. იცავს რა „სამი სამყაროს“ ყმადაღებულ თეორიას, ჩინეთის ხელმძღვანელობა ცდილობს თავის მხარეზე გადაიბიროს და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აამხედროს ყველა, ვინც კი შესაძლებელია, მათ შორის იმპერიალისტური რეაქციაც.

პეკინის ხელმძღვანელობა ეწევა ახალი მსოფლიო ომის გარდუვალობის პროპაგანდას, აწარმოებს ბრძოლას სოციალისტური ქვეყნების იმ ღონისძიებების წინააღმდეგ, რომ გაადრმავონ საერთაშორისო დაბალუნობის შენელების პროცესი, შეაჩერონ გამაფუჭები შეიარაღება და მიაღწიონ განიარაღებას. ჩინეთის ხელმძღვანელობის ასეთი პოლიტიკა ხელს უწყობს ხალხთა ეროვნული ინტერესების ანტისოციალისტურ, ანტიხალხურ პოლიტიკას და ამავე დროს გვაფრთხილებს ჩინელი ხალხის სიბრძნე, მისი უნარი, რომ პროგრესისა და მშვიდობის გზაზე დაიბრუნოს თავისი დიდი ქვეყანა.

ვ. ბილიაკი შეეხო აგრეთვე საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ზოგიერთ პრობლემას. პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, თქვა მან, ჩვენ მიგვაჩნია მარქსიზმ-ლენინიზმის ერთერთ მთავარ პრინციპად, მუშათა კლასისა და მშრომელთა მძლავრ იარაღად, საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საერთაშორისო სიმპოზიუმი

● მეხიკო. მექსიკის დედაქალაქში გაიხსნა საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე „ნავთობის მრეწველობის ნაციონალიზაცია და ბრძოლა ლათინური ამერიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის. სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ არგენტინის, ბრაზილიის, ვენესუელის, მექსიკის, პერუს, ეკვადორისა და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების დელეგაციები.

გაკოტრების პროცესი ძლიერდება

● ბონი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკის მთელ რიგ დარგებში კრიზისულ მოვლენებთან დაკავშირებით ქვეყანაში ძლიერდება წვრილი და საშუალო საწარმოებისა და ფირმების გაკოტრების პროცესი. როგორც ჩრდილოეთ რაინეხტფალიის მხარის მეწარმეთა გაერთიანება იუწყება, 1977 წელს ამ მხარის მარტო ლიიონდამშუშავებელ მრეწველობაში გაკოტრდა 500-ზე მეტი საწარმო.

მოკლედ

ყოველ ესრიდან

კომენდანტის საათი გაუქმეს

● ტუნისი. ტუნისის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა კომენდანტის საათის გაუქმება ტუნისის დედაქალაქსა და მის გარეუბნებში. კომენდანტის საათი შემოიღეს ა. წ. 26 იანვარს საყოველთაო გაფიცვის დროს მომხდარი მღელვარების შემდეგ. გაფიცვა მოეწყო ტუნისის შრომის საყოველთაო გაერთიანების მოწოდებით ეშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ მოთხოვნების მხარდასაჭერად.

სავალალო პროგნოზი

● ბრიუსელი. სამრეწველო წარმოების შენელებული ზრდა და უმუშევართა არმიის გადიდება „საერთო ბაზრის“ ქვეყნებისა ეკონომიკური განვითარების კვლავ დამახასიათებელი ნიშნები იქნება 1978 წელს. ასეთ დასკვნას შეიცავს ევროპის გაერთიანებათა კომისიის ექსპერტთა მოხსენება, რომელიც აქ გამოქვეყნდა.

საერთაშორისო სიმპოზიუმი

● მეხიკო. მექსიკის დედაქალაქში გაიხსნა საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე „ნავთობის მრეწველობის ნაციონალიზაცია და ბრძოლა ლათინური ამერიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის. სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ არგენტინის, ბრაზილიის, ვენესუელის, მექსიკის, პერუს, ეკვადორისა და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების დელეგაციები.

გაკოტრების პროცესი ძლიერდება

● ბონი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკის მთელ რიგ დარგებში კრიზისულ მოვლენებთან დაკავშირებით ქვეყანაში ძლიერდება წვრილი და საშუალო საწარმოებისა და ფირმების გაკოტრების პროცესი. როგორც ჩრდილოეთ რაინეხტფალიის მხარის მეწარმეთა გაერთიანება იუწყება, 1977 წელს ამ მხარის მარტო ლიიონდამშუშავებელ მრეწველობაში გაკოტრდა 500-ზე მეტი საწარმო.

შეწყდეს დანაშაულებრივი აქცია!



● გმობენ ტელ-ავივის ყაჩაღურ პრაქტიკას ● არაბულ სახელმწიფოთა თათბირი დამასკოში ● ისრაელი აფართოებს აგრესიას

ნიუ-იორკი. 20 მარტი. (საკადესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში დამოავრდა ლიბანის საჩივრის განხილვა ისრაელის აშკარა აგრესიასთან დაკავშირებით, რომელმაც 14 მარტს ღამით დანაშაულებრივი შეიარაღებული თავდასხმა მოახდინა ამ ქვეყანაზე. ტელ-ავივის ყაჩაღური პრაქტიკა, რომელმაც აგრესიისა და ტერორიზმის აქტები სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აიყვანა, დაგმო ორატორთა დიდმა უმრავლესობამ. მთელი რიგი არაბული სახელმწიფოების, აგრეთვე პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენელთა გამოსელებში დამაჯერებლად იყო ნაჩვენები ბარბაროსული ხასიათი ისრაელის მხედრობის წინასწარ განზრახული თავდასხმებისა მშვიდობიან დასახლებებზე, ლიბანელ და პალესტინელ ქალებსა და ბავშვებზე, რისთვისაც მას აქვეყნებენ საერთაშორისო იმპერიალიზმის ძალები. სსრ კავშირისა და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნების დელეგაციებმა საკუთრებთ დაუჭიეს მხარი ამ ორატორების მოთხოვნებს, რომ გადაეჭრით დაგმონ ტელ-ავივის დახშაულებრივი აქციები, დაუყოვნებლივ შეწყდეს ისრაელის აგრესია და გაიყვანონ მისი ჯარები ლიბანის ტერიტორიიდან.

განხილვის მსვლელობაში საბჭოთა დელეგაციამ უშიშროების საბჭოს განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საბჭო უაღრესად სერიოზულად უნდა მიუდგეს ლიბანის ახლანდელ ამბებს, რამდენადაც საქმე ეხება არა ლოკალურ კონფლიქტს, არამედ იმას, რომ წინასწარ დაგეგმილი ხასიათი ჩასცეს არაბთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ახლო აღმოსავლეთის პრობლემის სამართლიანი მოწესრიგების თვით შესაძლებლობას.

სამი დღის სხდომების შედეგად უშიშროების საბჭომ მოიწონა რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს ისრაელს დაუყოვნებლივ შეწყვიტოს საომარი მოქმედება ლიბანის წინააღმდეგ და სასწრაფოდ გაიყვანოს თავისი ჯარები ამ ქვეყნის მთელი ტერიტორიიდან.

საბჭომ მოუწოდა პატივი სცენ ლიბანის ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას. რეზოლუცია ითვალისწინებს აგრეთვე, რომ დაუყოვნებლივ შეიქმნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლიბანში მშვიდობის დამცველი ძალები. ეს ძალები იმოქმედებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელობით.

მიუხედავად ამისა, ეს რეზოლუცია არ შეიცავს ლიბანის წინააღმდეგ ისრაელის თავდაცვი აგრესიის უშუალოდ დაგმობას, რასთან დაკავშირებითაც სსრ კავშირის დელეგაციამ თვი შეიკავა კენჭისყრაში. ჩამოაყალიბა რა საბჭოთა კავშირის პოზიცია, სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ო. ა. ტროიანოვსკიმ ხაზი გაუსვა, რომ უშიშროების საბჭოში განხილვის დროს როგორც საბჭოს წევრი ბევრი სახელმწიფოს, ისე სხვა იმ ქვეყნების წარმომადგენლებმა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მის მუშაობაში, მოითხოვეს, რომ საბჭომ გადაჭრით დაგმოს ისრაელის ეს აშკარა აგრესია ლიბანის წინააღმდეგ, როგორც საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების აღმაშფოთებელი დარღვევა. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ აღიკვეთოს ისრაელის აგრესიული პოლიტიკა მეზობელი არაბული სახელმწიფოებს მიმართ.

სსრ კავშირის დელეგაციამ სურს აგრეთვე, განაცხადოს, თქვა საბჭოთა წარმომადგენელმა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების გაგზავნამ ლიბანის ტერიტორიაზე ლიბანის მთავრობის თხოვნის შესაბამისად არავითარ შემთხვევაში არ უნდა შელახოს ლიბანის მთავრობის სუვერენული უფლებები, საგანგებით უნდა გაითვალისწინოს ისრაელის, როგორც აგრესორის სუბიექტურობა მის მიერ ჩადენილი მოქმედებისათვის.

სამწუხაროდ, ეს წინადადებები არ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ — რეზოლუციის პროექტის ავტორმა.

მაგრამ, გაითვალისწინა რა ლიბანის მთავრობის თხოვნა, სსრ კავშირის დელეგაციამ არ შეუდგა ხელი ამ რეზოლუციის მიღებას.

დამასკო, 20 მარტი. (საკადესი). აქ გაიხსნა პროგრესული არაბული სახელმწიფოების ფრონტის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრების თათბირი. ამ ფრონტში შედიან ალჟირი, ლიბია, იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, სირია და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია. თათბირზე გამოვიდა სირიის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ჰადამი, რომელმაც ყველა არაბულ ქვეყანას მოუწოდა საკადრისი პასუხი გასცენ ისრაელის აგრესიას და შეიმუშაონ პრაქტიკული ღონისძიებანი დასახული მიზნის მიღწევისათვის. ამ ღონისძიებებმა, თქვა მან, უნდა გაითვალისწინონ ლიბანისათვის დახმარების გაწევა, პალესტინის რევოლუციის დაცვა, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციისადმი დახმარება.

ბეირუთი, 20 მარტი. (საკადესი). მეექვსე დღეა, რაც სამხრეთ ლიბანში გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს. ისრაელის მხედრობა აფარებს აგრესიის ფარგლებს სუვერენული არაბული ქვეყნების ტერიტორიაზე. დღეს დილით ისრაელის არმიის ნაწილები სხვადასხვა მიმართულებით უტევდნენ ქალაქ ტირს. მათ დაგაჭრეს ტირ-საიდის ავტომაგისტრალი, ხელთ იგდეს სტრატეგიულად დიდმნიშვნელოვანი ხიდი მდინარე ლიტანზე.

წუხელ ღამით ისრაელის ავიაცია და არტილერია ინტენსიურად ბომბავდნენ და ცეცხლს უშენდნენ ქალაქ ტირს, ქვეყნის სამხრეთ ნაწილის სანაპირო ზოლსა და ნაბათიის მიდამოებს. დახოცილი და დაჭრილია ასობით მშვიდობიანი მცხოვრები. განსაკუთრებით ბევრი მსხვერპლი იყო ლტოლვილთა დროებით ბანაკმატირის ჩრდილოეთ გარეუბნებში. გუშინ ისრაელის „ფანტომებმა“ არაერთხელ გამოჩნდნენ ჩრდილოეთ ლიბანის რაიონებში, კერძოდ ქალაქ ტრიპოლის მიდამოებში.

პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის ძალებისა და ლიბანის ეროვნულ-პატრიოტული ძალების გაერთიანებული სარდლობის აქ გამოქვეყნებული მონაცემებით, ოთხი დღის ბრძოლებში ისრაელის დანაკლისია 450 დაზიანებული და დაჭრილი. მეწყობრიდან გამოყვანილია სხვადასხვა ტიპის 100-ზე მეტ ჯავშნიანი მანქანა, ჩამოგდებულია ოთხი თვითმფრინავი.

ისრაელის მიერ ქვეყნის სამხრეთ ნაწილის ოკუპაცია, აღნიშნავენ ადგილობრივი მომამზადებელნი, ეროვნულად მოწმობენ, რომ ისრაელი, რომელიც სარგებლობს ამერიკის შეერთებული შტატების ყოველმხრივი მხარდაჭერით, ამერიკელებს თავის ავანტურისტულ ექსპანსიონისტურ გეგმებს და ამასთან არ ერიდება მშვიდობიან მცხოვრებთა მასობრივ დაბოცვასა და ქალაქებისა და სოფლების დანგრევას. სამხრეთიდან ლტოლვილთა რიცხვმა 200.000-ს გადაამტა. მთავრობის მიერ მიღებული ღონისძიებების მიუხედავად, ლტოლვილთა უმრავლესობას ჯერჯერობით დროებითი თავშესაფარიც კი არა აქვს და სურსათისა და სამედიცინო დახმარების მწვავე საჭიროებას განიცდის.



ამერიკული მოქმედი ვულკანი ახლო აღმოსავლეთში
გ. ლომიძის ნახატი.

კარიკატურისტის კომენტარი

ისრაელის აგრესიული აქცია სამხრეთ ლიბანში მოწყობილია ამერიკის შეერთებული შტატების უშუალო მხარდაჭერით.
(გაზეთებიდან).

ესეც შენი „თავისუფალი სამყარო“ — უცხოელ ჟურნალისტთა თვალით

უუფლებობა, ჯერარი, ძალადობა

იაპონია

ერთმის უფლებისათვის ბრძოლაში

მწვავდება კლასობრივი ბრძოლა

„პეტრი-კამერის“ ფირმის ფოტოაპარატების ეს ქარხანა ტოკიოს მუშათა ოაზისი — უმედოდ მდებარეობს. შენობის თავზე წითელი დროშები ფრიალებს, შესასვლელის წინ დადგმულ დაფაზე მსხვილი იეროგლიფებით წარწერილია „მუშები ებადლიერებიან ადგილობრივ მცხოვრებლს დახმარებისა და მხარდაჭერისათვის“. დღეს აქ ბატონ-პატრონები მუშები არიან. პროფკავშირის თავმჯდომარის მოადგილემ ტ. კუსამამ მიამბო:

— შარშან ოქტომბერში ფირმა გაკოტრდა, რომელსაც სამი მილიარდი იენი ვალი დარჩა. მუშებს სამუშაოდან დათხოვნა ემუქრებოდათ, მაგრამ ბრძოლის დაწყება გადაწყვიტეს, რომელსაც სათავეში პროფკავშირი ჩაუდგა. ქარხნის შესასვლელის და მზა პროდუქციის საწყობების დასაცავად პიკეტები დაიყენეს. დაიწყო მოლაპარაკება ფირმის ხელმძღვანელობასთან. ჩვენ მხოლოდ ერთი რამ მოვითხოვეთ — მუშებისათვის გადაეცეთ ქარხნის კონტროლის უფლება. ჩვენი ბრძოლა მიმდინარეობდა ქვეყნის ერთ-ერთი მძლავრი პროფკავშირის — მელითონეთა პროფკავშირთიანობა „ძენკინის“ უშუალო ხელმძღვანელობით.

პირველი სიძნელე, რომელსაც გაფიცულნი წააწყდნენ, ეს იყო კრედიტორებთან დამოკიდებულება. იაპონის ეკონომიკის სპეციფიკა მისი სუბსიდიარო სისტემაა. მოიჯარადრე საწარმოები ყველა ფირმას აქვს, „პეტრი-კამერას“ — ოთხასამდე. ისინი კრედიტით აწვდიან აპარატის სხვადასხვა სათადარიგო ნაწილებს.

— კრედიტორებისათვის მთავარია, რომ მათ დროულად გადუნაღდონ დავალიანება, — ამბობს ტ. კუსამა. — ამისათვის საჭიროა წარმოების აღდგენა. ამით თავის მხრივ დაინტერესებული არიან მუშებიც. ასე გამოინახა საერთო ენა მომწოდებლებთან. მათ დაიწყეს მასალებით ჩვენი მომარაგება. საგულისხმოა, რომ ქარხნის ხელმძღვანელობას დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევია. იმ საკონკურენციო ბრძოლაში, რომელსაც მეწარმეები აწარმოებენ საერთო ეკონომიკური დაქვეითების პირობებში, „პეტრი-კამერის“ მფლობელებმა საკუთარი ძალებით საწარმოს გადარჩენის ყოველგვარი იმედი დაკარგეს. და ქარხნის მმართველობა მუშებმა იკისრეს.

— ამრიგად, — ხაზგასმით აღნიშნა ტ. კუსამამ, — მათ გამონახეს თავიანთი უფლებებისათვის ბრძოლის ახალი ფორმა, და ცხადყვეს რომ, შეუძლიათ გახდნენ იმ საწარმოს ბატონ-პატრონნი, სადაც შრომობენ.

როგორც გაზეთი „იომიური“ წერდა, გასული წლის ბოლოს გაკოტრებულ ფირმათა რიცხვმა 18500-ს მიაღწია. დეპრესია, რომელიც უკვე ოთხ წელიწადზე მეტი ხანია გრძელდება, აიძულებს, უწინარეს ყოვლისა, საშუალო და წვრილ მეწარმეებს შეეკვეცონ წარმოება, რის შედეგადაც ათასობით მშრომელი ადამიანი სამუშაოს კარგავს.

კრიზისის პირობებში კლასობრივი ბრძოლა სულ უფრო მწვავდება. იაპონელი მშრომელები მზად არიან შეუპოვარი ბრძოლით დაიცვან თავიანთი შრომის, ნორმალური ცხოვრების უფლებები. იაპონელებს სურთ, რომ ხვალინდელი დღის იმედი ჰქონდეთ.

ბრძოლის ახალ ფორმას, რომელსაც „პეტრი-კამერის“ ფირმის მუშებმა მიმართეს, უეჭველად დაუჭერენ მხარს სხვა საწარმოების მუშები.

აკირა კუდო,
იაპონელი ჟურნალისტი.

ჩრდილოეთ ირლანდია

ჩრდილოეთ ირლანდიაში კვლავ გრძელდება სამხედრო-პოლიტიკური თარეში.

დღემდე აქ გამეფებულია ტერორი და ძალადობა, გრძელდება დაპატიმრებანი და ჩხრეკა. ჩრდილოეთ ირლანდიის საპატიმროების სამმართველოს მოხსენებაში ნათქვამია, რომ 1969 წლიდან პატიმართა რიცხვი ოთხჯერ გაიზარდა და 2 ათასს მიაღწია.

როგორც უკანასკნელი ცნობები მოწმობს, ბრიტანეთის ხელისუფლება არ აპირებს ხელი აიღოს თავის გაკოტრებულ პოლიტიკაზე, რომელსაც გამოს მთელი პროგრესული კაცობრიობა და რომელიც უხეშად არღვევს ადამიანის უფლებებს ოლსტერში. ინგლისის თავდაცვის სამინისტრომ ამას წინათ გადაწყვიტა გაზარდოს ჩრდილოეთ ირლანდიაში შეიარაღებული ძალების რიცხვი.

სურათზე: ახე გამოიყურება დღეს ოლსტერის ქალაქების ქუჩები.

ამერიკის იარაღი აგრესორს

ვაშინგტონი, 21 მარტი. (საკადესი). ისრაელი ახლო აღმოსავლეთში ამერიკული სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების უდიდესი მომხმარებელია. ამერიკის პრესის მონაცემებით, უკანასკნელი 6 წლის მანძილზე ტელ-ავივმა ოკეანის გაღმიდან მიიღო 7 მილიარდი დოლარის იარაღი. ამჟამად ისრაელი ამერიკის შეერთებული შტატებისაგან იღებს ხუთჯერ მეტ სამხედრო ტექნიკასა და აღჭურვილობას, ვიდრე 1973 წლის ოქტომბრამდე.

პენტაგონის არსენალებიდან ტელ-ავივმა მიიღო ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებით აღჭურვილი ვერტმფრინავები, საპატრულო გემები, „ფ-15“ და „ფ-16“ უახლესი ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენები, ტყვიამწამალი. ამერიკის ასიგნებათა ხარჯზე ფინანსდება ისრაელის „ჩარიოტის“ ტანკის წარმოება. ისრაელის მხარდაჭერისათვის მარტო მომავალ ხაფინანსო წელს ამერიკის ბიუჯეტიდან გამოიყოფა 1 მილიარდი დოლარი, აგრეთვე 785 მილიონი დოლარი „უშიშროების უზრუნველყოფის დახმარების“ პროგრამის ფარგლებში.

იტალია დაძაბული ვითარება

რომი, 20 მარტი, (საკადესი). ათიათასობით პოლიციელი, კარაბინერი და უშიშროების სამსახურის თანამშრომელი კვლავ ეძებენ რომში 16 მარტს მოტაცებული მმართველი ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს, იტალიის მინისტრთა საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს ალდო მორუს. იტალიის დედაქალაქსა და სხვა ქალაქებში მიმდინარეობს საეკვო პირთა შემოწმება, მასობრივი ჩხრეკა, შექმნილია პოლიციელთა კორდონები აეროპორტებში, ვაგზლებსა და სასაზღვრო პუნქტებში. მაგრამ ყველა ამ ღონისძიებას ჯერჯერობით არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. აქ აღნიშნავენ, რომ ტერორისტთა მოქმედება ხელს აძლევს უკიდურესად მემარჯვენე ძალებს, რომლებიც ცდილობენ ქვეყანაში შექმნან დაძაბულობის, ტერორისა და ძალმომრეობის ვითარება.

იტალიაში არ ცხრება დემოკრატიული საზოგადოებრივობის პროტესტები პოლიტიკური პროვოკაციის წინააღმდეგ.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა არმიების შტაბების წვრთნა

ბაერთიანებული სარდლობის შეთანხმებული გეგმის შესაბამისად 14-21 მარტს რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოეწყო ოპერატიული შტაბების სამეთაურო-საშტაბო წვრთნა ბულგარეთის სახალხო არმიის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის არმიისა და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რუკებზე.

წვრთნას ხელმძღვანელობდა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. გ. კულიკოვი.

წვრთნის დროს ხვეწდნენ მოკავშირე არმიების შეიარაღებული ძალების სახეობათა და ჯარების გვარეობათა ერთობლივი საბრძოლო მოქმედების საკითხებს. წვრთნამ ჩაიარა ორგანიზებულად, შინაარსიანად და ცხადყო გენერლების, ადმირალებისა და ოფიცრების ოპერატიული მომზადების გაზრდილი დონე. მან ხელი შეუწყო ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა არმიების უმაღლესი შტაბების შემდგომ შეკავშირებას, მათი თანამოქმედების სრულყოფასა და მომზადებასა საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცებას.

წვრთნის ცალკეულ ეტაპებში მონაწილეობდნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო თავდაცვის მინისტრი არმიის გენერალი ტ. ჟივკოვი და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი ი. კომანი.

კანადა

რატომ აღარ კითხულობენ გაზეთებს

ახლახან „ტორონტო სტარში“ რამდენიმე წერილი წავიკითხე. მათი ავტ

საქართველოს ვითა-ჯარში

მნერლები — მშრომელებთან

ზუგდიდი. (სპ. კორ.). შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მოეწყო რაიონისა და ქალაქის მშრომელთა შეხვედრა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარესთან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთან, სოციალისტური შრომის გმირთან გრიგოლ აბაშიძესთან მისი ისტორიული რომანის — „ციტნე, ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“ განხილვასთან დაკავშირებით.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გაზსნა პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. თოდუამ.

გრ. აბაშიძის შემოქმედებაზე და, კერძოდ, მის ისტორიულ რომანზე ილაპარაკა თავის მოხსენებაში ზუგდიდის რაიონული და საქალაქო გაზეთ „მებრძოლის“ რედაქტორმა ი. ქორთუამ, გამოვიდნენ აგრეთვე მშრომელთა და ინტელიგენციის წარმომადგენლები.

შეხვედრაზე სიტყვები წარმოთქვეს მწერლებმა ს. ცაიშვილმა, ნ. დუმბაძემ, ე. უბილავამ და რ. მარგვანმა. იმავე დღეს მწერლებმა დაათვალიერეს ენგურჰესის მშენებლობა, ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ბოტანიკური ბაღი და ი. მეუნარგიას სახლ-მუზეუმი.

გ. ნოდია.

მთარგმნელი, ბიბლიოგრაფი, პუბლიცისტი...

ნ. აკერმანის საიუბილეო საღამო

□

საქართველოს ლიტერატურულ ცხოვრებაში ნიკოლოზ გიორგის ძე აკერმანს განსაკუთრებული ადგილი უკავია. მწერალმა, მთარგმნელმა, პუბლიცისტმა, ბიბლიოგრაფმა და, ბოლოს, რედაქტორმა და პედაგოგმა — ბევრი რამ გააკეთა ქართული მხატვრული ლიტერატურის პოპულარიზაციისათვის, როცა რუსულ ენაზე თარგმნა ქართველ ლიტერატურთა და მეცნიერთა ნაწარმოებები. ასეთი ლიტერატურული ბარაქიანობა, ასეთი მრავალფეროვნება შემოქმედებაში, როგორითაც ნ. გ. აკერმანი გამოირჩეოდა, დამსახსოვრებელია მხოლოდ შეწმარიტად ნიჭიერი ადამიანისათვის.

კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში გაიმართა ნ. გ. აკერმანის დაბადების 70 წლისთავისა და შემოქმედებითი და საზოგადო მოღვაწეობის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. საღამოზე ილაპარაკეს ამ ადამიანის ბევრი სხვა შესანიშნავი თვისებების შესახებ, რომლის სახელი განუყოფლად არის დაკავშირებული საქართველოში ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის განვითარებასთან.

საღამო შესავალი სიტყვით გაზსნა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა სამმართველოს უფროსმა ა. კალანდარიშვილმა.

მოხსენება ნ. გ. აკერმანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გააკეთა ბიბლიოთეკის საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგემ ნ. ლაიშევამ.

ტრიბუნაზე ზედიზედ ადიან ნ. გ. აკერმანის ნიჭის პატივისმცემლები. მათ შორის არიან უმაღლესი და საშუალო საგანაურო განათლების მინისტრი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. ჯიბლაძე, ლენინის სახელობის ცენტრალური სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის დელეგაციის ხელმძღვანელი, ამ ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე ნ. სოლოვიოვა, პროფესორები ს. ხუციშვილი და პ. ღუღუშაური, გამომცემლობა „ხელოვნების“ დირექტორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ო. ეგაძე, წიგნის მოყვარულთა რესპუბლიკური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ჯ. ლომაშვილი, მთარგმნელი კ. კორინთელი, პოეტი თ. ჯანგულაშვილი, რესპუბლიკური და საუწყებო ბიბლიოთეკების დირექტორები, მეცნიერები, მწერლები, მთარგმნელები, ჟურნალისტები, სტუდენტები და მკითხველები.

თავიანთ გამოსვლებში მათ მადლობა გადაუხადეს ნ. გ. აკერმანს იმისათვის, რომ რუს მკითხველს შესაძლებლობა მისცა მშობლიურ ენაზე წაეკითხა ცნობილი ქართველი მწერლების გ. წერეთლის, ა. ერისთავ-ხოშტარიას, ა. ქუთათელის, ლ. ავალიანის, რ. ქორქიას ნაწარმოებები, „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები“, „საქართველოს ისტორია“, „საქართველოს გეოგრაფია“, „საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია“. აღინიშნა, რომ იგი ავტორია ასზე მეტი ნაშრომისა, რომლებიც ეძღვნება ბიბლიოგრაფიის თეორიისა და პრაქტიკის, სამეცნიერო-დამმბარე და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიული სახელმძღვანელოების პრობლემებს, რომ იგი არის ბიბლიოთეკარებისა და ბიბლიოგრაფოების რამდენიმე თაობის აღმზრდელი.

ნ. გ. აკერმანმა გულთბილი მადლობა გადაუხადა შეკრებილთ.

(საქინფორმი).

□

მაყურებელმა ნახა პრემიერა

ონის რაიონის ახალგაზრდული კლუბის დრამატულმა სტუდიამ, რომელსაც ხელმძღვანელობს ონის სახალხო თეატრის რეჟისორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ჯაფარიძე, ორი პრემიერა უნეფა ადგილობრივ მაყურებელს.

პირველი წარმოდგენა იყო პ. კაკაბაძის ლირიკული დრამა „სამი ასული“, ხოლო მეორე — ა. გეწაძის კომედია „პაემანი ცაში“. ორივე სპექტაკლის დადგმაც და მხატვრული გაფორმებაც გ. ჯაფარიძეს ეკუთვნის.

ნ. დუუაშვილი.

ყვავილები—საქართველოდან

მიმოზა, ბაღის ფრთათეთრა მიხაკები... აუბა-ზეთის ახს რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სამინისტროს დეკორატიული მებაღეობის სიხუმის სანერგეში მოეკვინლ ამ ყვავილებზე დიდი მოთხოვნაა არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ შორს მის საზღვრებს გარეთაც.

ამ დღეებში ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში გაიგზავნა 10 ტონაზე მეტი მიმოზა, ასათასობით ცალი მიხაკი და სხვა ყვავილები.

საქინფორმის ფოტოკორესპონდენტის ი. ჭოხონელიძის მიერ გადაღებულ სურათზე აღბეჭდილია მეყვავილე ლუდმილა სიტასიანი და აგრონომი ბადრი გოგიშვილი, რომლებიც მოსკოვში გასაგზავნად ამზადებენ ყვავილების მორიგ პარტიას.

საქინფორმის ფოტოკორესპონდენტი.

ავტომობილი და გარემო

საუკუნის პრობლემა

ტოქსიკური კომპონენტები თან სდევს ტექნიკური წვის ყველა პროცესს, მაგრამ ავტომობილის მიერ გამონაბოლქვი აირები განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს იმიტომ, რომ ახლა მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში მრავალი ავტომობილი გრუფდება და ამის გამო ისინი ჰაერის გაჭუჭყიანების წყაროდ იქცევა.

ამერიკის შეერთებული შტატების ტრანსპორტის ინსტიტუტის ოფიციალური ცნობით, ქალაქებში ჰაერის გაჭუჭყიანების სხვადასხვა წყაროს ტოქსიკური ნივთიერებები შეაქვს ჰაერში შემდეგი თანფარდობით: სანაგვე ადგილებს 2,6, შენობების გასათბობ დანადგარებს 6,3, თბოელექტროსადგურებს 12,5, ქარხნებს 18,7 და ავტომობილებს 59,9 პროცენტი. მართლაც საოცარი რიცხვებია! როგორც ჩანს, მკაცროდ დასახლებულ ადგილებში ტოქსიკური კომპონენტების თითქმის 60 პროცენტი ჰაერში შეაქვს ავტომობილების გამონაბოლქვ აირებს. ეს აშკარად მძიმე მდგომარეობას ქმნის ქალაქებში, მაგრამ ის, თუ როგორ გაგვნას მოახდენს ეს ატმოსფეროზე გლობალურად, დაირღვევა თუ არა ეანგბადის ბალანსი, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია. თუმცა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ეანგბადის შემცველობა ატმოსფეროში არ შეცვლილა, მაგრამ ცნობილი არ არის — ეს ბუნების აუცილებელი კანონია, თუ გარკვეულ პირობებში შეიძლება დაირღვეს ეს წონასწორობა, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ უკანასკნელ ხანს ატმოსფეროში ნახშირეანგის შემცველობა ოდნავ გადიდდა. ამ ფაქტს უგულებელყოფა არ შეიძლება, იგი დამაფიქრებელია.

რაოდენობის მიხედვით წვის პროდუქტებიდან ყველაზე უფრო ანგარიშგასაწევია ნახშირეანგი, რომელიც დამწვარი სათბობის მასის 20 პროცენტს ჭარბობს და ამის გამო მნიშვნელოვნად აუჭუყიანებს ჰაერს. მაგრამ ამ შემთხვევაში დამამშვიდებელია ის, რომ უახლესი გამოკვლევების მიხედვით მსოფლიოში ბუნებრივი პროცესებიდან გამოიყოფა სულ ცოტა ათჯერ მეტი ნახშირეანგი, ვიდრე ყველა ტექნიკური წვის პროცესების შედეგად. ასეთივე მდგომარეობაა გამონაბოლქვი აირების სხვა მავნე კომპონენტების მხრივაც. ესე იგი ტექნიკური წვის წყაროები, მათ შორის ავტომობილებიც, თანაბრად რომ იყოს განაწილებული დედამიწის ზედაპირზე, მაშინ აღელვების საფუძველი არ გვექნებოდა ქალაქების მცხოვრებლს.

ქალაქებში გამონაბოლქვ აირებს განსაკუთრებული ზიანი მოაქვს, თუ მათი სივრცეში გაფანტვა ყოვნდება ადგილდებარეობის ცუდი ვენტილაციის გამო (ამას დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ მშენებლებმა). ახლა ხშირად გაისმის განგაშის ხმა ქალაქებში ტოქსიკური აირების ბურუსის საფარის წარმოშობის შესახებ. ამას ხელს უწყობს განსაკუთრებული კლიმატური მოვლენა (ინვერსია), რომელიც ეწინააღმდეგება მიწის ზედა ჰაერის ფენათა თვითგაწმენდას. ეს მოვლენა ხშირია კალიფორნიაში და, ალბათ, ეს არის მიზეზი, რომ სწორედ კალიფორნიამ პირველმა შემოიღო კანონი ავტომობილების გამონაბოლქვ აირებში ტოქსიკურ ნივთიერებათა შეზღუდვის შესახებ. აძეკამად ყველა ძოწველობა-განვითარებულ ქვეყანას აქვს ასეთი კანონი. განსაკუთრებით მკაცრი შემზღუდავი კანონი მოქმედებს ამერიკის ეფერებულ შტატებში. ეს ღონისძიებანი უკვე გავლენას ახდენს ავტომობილების მშენებლობაზე და გამონაბოლქვი აირების ტოქსიკურობაც თანდათან მცირდება, რაც ხორციელდება ძრავებში წვის პროცესის გაუჯობესების, უფრო სრულყოფილი სათბობით კვებისა და ელექტრონათების გამოყენების, წვის პროდუქტების გაფრქვევის და სხვა გზით. მაგრამ ეს არ არის ერთადერთი საშუალება ტოქსიკური აირების რაოდენობის შესამცირებლად. უფრო დიდ შედეგებს უნდა მოველოდეთ იმ სამუშაოთა დამთავრების შემდეგ, რომლებიც ახლა მიმდინარეობს მრავალ სამეცნიერო ცენტრში პრინციპულად ახალი ტიპის ძრავების შესაქმნელად.

ავტომობილის გამონაბოლქვი გაზებით გაჭუჭყიანებისაგან გარემოს დაცვას დიდი ყურადღებით ეკიდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი, სადაც კვლევითი მუშაობა სამი მიმართულებით მიმდინარეობს. აქედან ორი ითვალისწინებს არსებული ძრავების გამონაბოლქვის ტოქსიკურობის შემცირებას, ხოლო მესამე — ახალი პრინციპით მომუშავე ძრავის შექმნას, რომელშიც უკვე იქნება ორგანიზებული წვის პროცესი.

კვლევის ეს მიმართულებები პერსპექტიულია, ხოლო დღეისათვის მიღებული შედეგები — იმედის მომცემი. კვლევის ამ თემატიკით მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი მონაწილეობს საკავშირო პროგრამაში, რომელიც მიზნად ისახავს გარემოს დაცვას ავტომობილის მავნე გაზებისაგან.

გამონაბოლქვი აირების შემადგენლობა და მასა დამოკიდებულია არა მარტო წვის ტიპზე, არამედ სათბობის სახეობაზეც. ამის გამო ახლა დიდი ყურადღება ექცევა ახალი სათბობის ძიებას სუფთა გამონაბოლქვის მიღების მიზნით. მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ხორციელდება ავრეთვე ელექტრომობილის შესაქმნელად, რომელსაც გამონაბოლქვი აირები სრულიად არა აქვს.

დიდ იმედებს ამყარებენ შიგაწვის ძრავების სათბობად წყალბადის გამოყენებაზე. ამ სათბობზე მომუშავე ძრავის გამონაბოლქვი აირები არ შეიცავს ტოქსიკურ ნივთიერებებს, გარდა აზოტის ჟანგისა. ამიტომ წყალბადი ავტომობილებისათვის სასურველი სათბობია, მაგრამ გამოყენებას ხელს უშლის მისი სამრეწველო მიღების სირთულე და სიძვირე. ახლა ისახება წყლის დაშლის ახალი გზა და მოსალოდნელია, რომ წყალბადის მოპოვების ეს მეთოდი ეკონომიკურად მისაღები იქნება. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ვერ გამოიყენებენ სათბობად წყალბადს, თუ არ გადაწყვდა ავტომობილებსა და გასაწყობ სადგურებში მისი აკუმულირების პრობლემა. ამ საკითხებზე დიდი მუშაობა მიმდინარეობს მთელ მსოფლიოში.

წყალბადის აკუმულირებაზე რომ ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს შემდეგი: თუ სათბობად გამოყენებულია ბენზინი, მაშინ ავტომობილის საკმაოდ მარტივ და მსუბუქ სათბობის აუზში ენერგია დიდი სიმკვრივით გვაქვს აკუმულირებული პირველადი ენერგიის აკუმულატორის (ბენზინი + ავზი) ძასის ერთეულში. ეს განპირობებს ავტომობილის დიდი სვლის მარაგს. ენერგიის ასეთი სიმკვრივის უზრუველყოფა არ შეიძლება სათბობად წყალბადის ან სხვა პირველადი ენერგიის წყაროს გამოყენების შემთხვევაში.

პირველადი ენერგიის აკუმულატორის მეორე ენერგორეზერვდობა, ესე იგი მისი დიდი მასა, ის ძირითადი მიზეზია, რომელიც აგრეთვე ხელს უშლის ელექტრომობილების გავრცელებას. ესეც რომ არ იყოს, ელექტრომობილები მთლიანად მაინც ვერ შეცვლიდა შიგაწვის ძრავებით მუშაავე ავტომობილებს, ვინაიდან მსოფლიოში ავტომობილებზე დაყენებული ძრავების სიმძლავრე აღემატება მსოფლიო ელექტროსადგურებს არსებულ სიმძლავრეს. მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მთლიანად დაყენებული სიმძლავრის 90 პროცენტს შეადგენს ავტომობილის ძრავების სიმძლავრე.

ელექტრომობილები კონკურენციას გაუწევს შიგაწვისძრავიან ავტომობილებს მას შემდეგ, რაც საბოლოოდ დამუშავდება სატრანსპორტო სათბობის ელემენტი, რომელიც სათბობის ქიმიურ ენერგიას უშუალოდ გარდაქმნის ელექტროენერგიად. სათბობის ელემენტს საკმაოდ მაღალი ენერგორეზერვდობა აქვს და ატმოსფეროში არავითარ ტოქსიკურ ნივთიერებებს არ გამოტყორცნის,

ამ მოკლე მიმოხილვის საფუძველზე შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა. უდავოა, რომ დღეს მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში ჰაერის ტოქსიკური ნივთიერებებით გაჭუჭყიანების ძირითადი წყაროდ ავტომობილები. მაგრამ ეს გარდამავალი მოვლენაა.

ავტომობილების გამონაბოლქვი აირებით ჰაერის გაჭუჭყიანების დამაფიქრებელი საკითხი ამ საუკუნის ბოლომდე დადებითად გადაწყდება და საფრთხეც დღის წესრიგიდან მოიხსნება.

რაფიელ დვალი,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი.

საბჭოთა ქრმია ძღვრდის სკოლაა

□

შვილი ჯარში მსახურობს

თბილისი. ანა და გიორგი ლოგვინიძეებს

მთელმა საბჭოთა ხალხმა ზეიმით აღნიშნა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მე-60 წლისთავი. რა თქმა უნდა, ეს დღესასწაული ჩვენს სამხედრო ნაწილშიც ფართოდ ვიზეიმეთ, მისი აქტიური მონაწილე თქვენი შვილი ოიხებიც იყო. ჩვენ წარმატებით შევასრულეთ ამ თარიღისათვის ნაკისრი ვალდებულებანი, ბევრი მებრძოლი წავახალისეთ ჯილდოებით, მათ შორის თქვენი შვილიც. ოიხები მამის ტრადიციის ჩინებული გამგრძელებელია, მამისა, რომელმაც თავი ისახელა საბჭოთა შეიარაღებული ძალების რიგებში სამსახურით.

ოიხები საუკეთესოდ არის დაუფლებული სამხედრო სპეციალობას, შრომისმოყვარეობის, დისციპლინის მაგალითის მომცემია ხხვებისათვის, გამოირჩევა დავალების უნაკლო შესრულებით, აქტიურად მონაწილეობს სამხედრო ნაწილის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არჩეულია ნაწილის კომკავშირის ბიუროს წევრად.

მეთაურთა შემადგენლობა გულწრფელ მადლობას გიხდით თქვენ, პატივცემულო ელენე სამშობლოს ასეთი ღირსეული დამცველის აღზრდისათვის.

სამხედრო ნაწილის მეთაური — **ი. ტიშჩენკო,** მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში — **ა. ზოტოვი.**

თბილისი. ელენე ხუნდაძე

საბჭოთა ხალხი ზეიმით შეხვდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მე-60 წლისთავს. ამ ღირსშესანიშნავი თარიღის შესახვედრად წარმატებით ემზადებოდნენ სამშობლოს მამაცი დამცველები, მათ შორის ომ ნაწილის მეთაურთა შემადგენლობა და მებრძოლები, სადაც თქვენი შვილი — დმიტრი გადის სამხედრო სამსახურს.

დმიტრიმ ჩვენთან ნიუკარული და პატივისცემა დაიმსახურა, სრულყოფილად დაეუფლა სამხედრო პროფესიას, გამოირჩევა დისციპლინით, თავმდაბლობით, ამასთანავე აქტიურად მონაწილეობს ქვეგანაყოფის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არჩეულია ნაწილის კომკავშირის ბიუროს წევრად.

მეთაურთა შემადგენლობა გულწრფელ მადლობას გიხდით თქვენ, პატივცემულო ელენე სამშობლოს ასეთი ღირსეული დამცველის აღზრდისათვის.

სამხედრო ნაწილის მეთაური — **ი. ტიშჩენკო,** მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში — **ა. ზოტოვი.**

ხელბურთი

პირველი წრის შედეგები

კაუნასში დამთავრდა ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის მატჩები. თბილისის „ბურევესტნიკმა“ კაუნასის ტურში მხოლოდ ერთი მატჩი მოიგო და რაჰდენადმე გაუმჯობესა მდგომარეობა გათამაშების ცხრილში. ეს მოხდა ასპარეზობის ბოლო დღეს, როცა თბილისელებმა დამარცხეს რიგის „ცელტნიეკსი“ ანგარიშით 20:19 (10:11). ჩვენ უკვე ვწერდით, რომ „ბურევესტნიკის“ მედგენლობას სხვადასხვა მიზეზით გამოაკლდნენ წამყვანი მოთამაშეები და, ცხადია, გუნდი კვლავინდებური წარმატებით ვერ ასპარეზობს.

პირველი წრის მატჩების შემდეგ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — 21 ქულა (22 შესაძლებლიდან), ცსკა — 19, „კუნცევო“ (მოსკოვი) — 16, ინდუსტრიული ინსტიტუტი (ზაპოროჟიე) — 15, „გრანიტასი“ (კაუნასი) — 12, ასკ (კიევი) — 11, „ალუმინსტროი“ (ზაპოროჟიე) — 9, „ცელტნიეკსი“ (რიგა) და ასკ (ლვოვი)—8-8, „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — 7, ასკ (მინსკი) — 4, ასკ (ბაკო) — 2.

მეორე წრის მატჩები დაიწყება 4 აპრილს ორ ტურად — მინსკში და კიევში, ხოლო დასკვნითი შეხვედრები გაიმართება ზაპოროჟიეში, სადაც 28 აპრილს ცნობილი გახდება ვინ ითამაშებს ფინალურ ექვსეულში. ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო ფინალურ ექვსეულში თბილისელთათვის მოხვედრა ერთობ პრობლემატურად გვეჩვენება.

გ. ირინაული.

ძალოსნობა

ცხრა პირველი ადგილი

მოსკოვში დამთავრდა ძალოსანთა XVIII საერთაშორისო შეჯიბრება „მეგობრობა“. ასპარეზობის ბოლო დღეს პირველი მძიმე წონის ათლეტებში საუკეთესო იყო დნეპროპეტროვსკელი ი. ზაიცევი. მან ორეულში დააგროვა 397,5 კგ (172,5 და 225). ამ წონითს კატეგორიაში დამყარდა საკავშირო რეკორდი, რომლის ავტორია სევეროდვინსკელი ვ. სერდიუკოვი: მან ატაცში აიწია 178,5 კგ.

სუპერ-მძიმე წონაში არ უასპარეზია ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს ვ. ალექსეევს. ამ ყველას აჯობა ორეულოვიძელმა ა. ენალდიევმა — 425 კგ (180 და 245).

ძალოსანთა შეჯიბრებაში ათი წონითი კატეგორიიდან ცხრაში საბჭოთა სპორტსმენებმა იზეიმეს გამარჯვება. მათ 7 საკავშირო რეკორდი დაამყარეს, რომელთაგან 4 მსოფლიო რეკორდებსაც აღემატება.

მხატვრული ტანვარჯიში

„გაზაფხულის ტურნირი“

ასე ეწოდება პოზნანში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებას მხატვრულ ტანვარჯიშში. ამ ასპარეზობაში გაიმარჯვა სსრ კავშირის სამეზის ჩემპიონმა, კიეველმა სტუდენტმა ი. დერიუგინამ. მან 28,55 ქულა დააგროვა და წინ გაუსწრო თავის პოლონელ მეტოქეებს რ. ურბანიკს (28,05) და ს. სობკოვსკას (27,95). დერიუგინა მარტო მრავალჭიდში რიდი იყო უძლიერესი. მან ყველას აჯობა ცალკეულ სახეობებშიც.

ფეხბურთი

29 მარტს — თბილისში

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ნახევარფინალში მოსკოვის „დინამოს“ მეტოქემ ვენის „აუსტრიამ“ თავისი ქვეყნის პირველობაში უკვე 47 ქულა დააგროვა და 7 ტურით ადრე ჩემპიონობა გაინაღდა. „აუსტრიის“ 5 მოთამაშე ქვეყნის ნაკრების წევრია. აი ისინიც: მეკარე ბაუმგარტნერი, მცველები ზარა და ობერმაიერი, ნახევარმცველი პროხაზკა, თავდამსხმელი პირკნერი.

გუშინ, საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს აცნობეს, რომ მოსკოვის „დინამოსა“ და ვენის „აუსტრიის“ პირველი ნახევარფინალური მატჩი გაიმართება თბილისში — 29 მარტს.

ჭიდაობა

მედლებით დაბრუნდნენ

ლატვიის ქალაქ დაუგავპილსში დამთავრდა სსრ კავშირის პირადი ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდების შორის.

სსრ კავშირის ჩემპიონის საპატიო წოდება მოიპოვა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა, მძიმე წონის სპორტელმა მოჭიდავემ ნ. ბეკურაშვილმა (მწვრთნელი — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი მ. ოსიყმაშვილი). იმავე წონითს კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტს ზ. ავლოხაშვილს („ბურევესტნიკი“).

ვერცხლის მედლები გადაეცათ თბილისის „განთიადის“ წარმომადგენელს ვ. გელაშვილს (90 კგ) და ამავე საზოგადოების სოხუმელ ფალავანს ზ. ქუჩუბერიას (74 კგ). ბრინჯაოს მედალი მიიღო უნივერსიტეტის სტუდენტმა ზ. ვარდოშვილმა (100 კგ). ამ ასპარეზობაზე ვ. გელაშვილმა და ზ. ქუჩუბერიამ პირველად შეასრულეს სპორტის ოსტატის ნორმა.

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში საქართველოს გუნდმა რუსეთის ფედერაციის ნაკრების შემდეგ მეორე ადგილი დიკავა.

შ. ბახტაძე.

გუნდურშიც, პირადშიც

კიშინიოვში დამთავრდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა სამბოში ჭაბუკთა შორის (1961-62 წლებში დაბადებულები). წარმატებით იასპარეზეს საქართველოს მოჭიდავეებმა. მათ რესპუბლიკებს და ქალაქებს შორისაც გუნდური პირველობა მოიპოვეს (მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ქ. ხინიაშვილი). პირად ჩათვლაში ყველას აჯობეს ნ. ბლიაძემ (75 კგ-მდე წონითი კატეგორია), გ. ხიორავამ (87 კგ) და ზ. ადუაშვილმა (მძიმე). მეორე ადგილზე გავიდა ზ. გობოზოვი (60 კგ). მესამე ადგილები წილად ხვდათ ლ. ბახტაძეს (70 კგ) და მ. კაჭარავას (87 კგ).

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

ბაღრაკი

ლიდერობენ ამერიკაკავკასიელები

ლენასტოკოლმი. მიმდინარეობს სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა გუნდური ჩემპიონატი ჭადრაკში. პირველობისათვის ასპარეზობს 8 გუნდი. ოთხი ტურის შემდეგ ამერიკაკავკასიის სამხედრო ოლქის ნაკრებს 24 ქულა აქვს და ლიდერობს. ბალტიის ფლოტილიის ნაკრები 21 ქულით მეორე ადგილზეა.

ღია კარის დღე

თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

7 აპრილს, 2 საათზე ინსტიტუტის საჭადრაკო დარბაზში (ი. ჭავჭავაძის გამზირი № 45) **აწყობს „ღია კარის“ დღეს საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის.**

მოეწყობა რექტორატის, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების შეხვედრა მოსწავლეებთან.

შეხვედრის შემდეგ დეკანები, კათედრის გამგეები და პროფესორ-მასწავლებლები საშუალო სკოლის მოსწავლეებს დაათვალიერებინებენ ინსტიტუტის კაბინეტ-ლაბორატორიებს, რეგვა-დარიგებას მის ცემენ პროფესიის არჩევის თაობაზე.

გიწვევთ

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელოსნო

24 მარტს

ლ. ჭელიძე

ესმერალდა

სევდიანი რომანი.

25 მარტს

მ. ფერმო

კარებს აჯანუნებენ

კომედია ორ მოქმედებად.

26 მარტს

ლ. ჭელიძე

ესმერალდა

სევდიანი რომანი.

31 მარტს

შ. ბარსია ლორკა

სისხლიანი ქორწილი

ტრაგედია.

1 აპრილს

მ. ფერმო

კარებს აჯანუნებენ

კომედია ორ მოქმედებად.

2 აპრილს

მ. ბეგია

ახალგაზრდა გვარდიის სახელით.

ბილეთები იყიდება კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალურ სახელოსნოში, ცენტრალურ თეატრალურ სალაროში და კიოთეატრებში: „რუსთაველი“, „სპარტაკი“, „ოქტომბერი“, „ამირანი“, „კომკავშვილელი“, „ყაზბეგი“, „ბაზაფხული“, „ნაკადული“.

ჩვენი მისამართია: კლესანოვის ბაღზირი № 164.

წარმოდგენის დასაწყისი სალამოს 8 საათზე.

ტელევიზია

22 მარტი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.30 — დოკუმენტური ფილმი, 17.00 — ახბიტურიენტთათვის — მათემატიკა, 17.30 — დოკუმენტური ფილმი „შემოწმებულია საკუთარ თავზე“ (ქართულ ენაზე), 18.20 — შეეხსწავლოთ ვერმანული ენა, 18.50 — მოსწავლეთათვის „მოგითხრობთ პროფესიაზე“. 19.15 — მოსწავლეთათვის — შემეცნებითი ჟურნალი „კინომოზაიკა“, 20.05 — გადაცემა „თქვენი აზრი“, 20.55 — მუსიკალური შესვენება, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა. (ფერადი), 21.30 — „უკრავს ოთარ კელაპტარიშვილი“ (ფერადი), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — გადაცემა „ჯაკი კვანტალიანი“. ფერადი.

მეორე პროგრამით

18.00 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა, 18.45 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სპილო და თოკი“, 19.30 — გაცხადებები, 19.35 — „გლობუსი“. ფერადი (განმეორებით), 20.25 — სატელევიზიო მრავალსერიანი ფერადი მხატვრული ფილმი „დმბანა“ (პირველი სერია), 21.35 — სატელევიზიო ფერადი დოკუმენტური ფილმი „შეინარნუნე ყვავილი“.

ოდიო

23 მარტი

პირველი პროგრამით

06.18 — გადაცემათა პროგრამა, 06.23 — ტანვარჯიში, 06.38 — „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მოსკოვიდან), 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ი. დუნაევსკი. ფრაგმენტები ოპერეტებიდან, 12.50—სიმღერები ე. პიაფის შესრულებით 13.00—„დრო, მოვლენები, ადამიანები“ (მოსკოვიდან), 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — მ. დავითაშვილი. კამერული ნაწარმოებები, 13.55 — ამინდის ბიუროს ცნობა, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“. ნ. დუმბაძე „მარადისობის კანონი“ (დასასრული), 17.10 — გადაცემათა პროგრამა, 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.30 — საქალაქო ქსელით — განცხადებები, რადიოსადგურებით — მუსიკა, 17.35 — მოსწავლეთათვის. „თაობათა გადაძახილი“, 18.10 — „მელოდია, რიტმი, განწყობილება“ (კონცერტი), 18.45 — „მელოდია, რიტმი, განწყობილება“ (კონცერტის გაგრძელება), 19.00 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტის ფოსტა“, 19.20 — მღერის ი. კობზონი, 19.40—მიკროფონთანაა ორკესტრი „ბაიანი“ და ვოკალური კვარტეტი „რუსული სიმღერა“ (მოსკოვიდან), 20.30 — „თეატრი და ცხოვრება“. მამოხილვა (მოსკოვიდან), 21.50 — საერთაშორისო დღიური (მოსკოვიდან), 22.00 — — „კონცერტი-საუბარი „ალ. ჩიჯავაძე“, 22.50 — „ხვალ — რადიოთი“, 23.30 — გ. ცაბაძე. მუსიკა კინოფილმებიდან.

თეატრი

22 მარტი

**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — გედის ტბა; შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — თამარ ეფსანი და ვეფხვისტყაოსანი (101-ე ხელოსანთა ბენეფისი). ალ. ფაღავა. ბ. ბ.); ალ. ბ. ბ.); ალ. ბ. ბ.); ალ